საკლასო კურიკულუმი

ფონემატური ცნობიერება ბავშვებში

მოამზადა თინათინ ანთიძემ და ანა შამათავამ

ERASMUS + ABC – ASSISTING BETTER COMMUNICATION
პროექტის ფარგლებში

მერილინ ჯაგერ ადამსი
ბარბარა რ. ფურმანი
ინგვარ ლუნდბერგი
ტერი ბილერი

თბილისი
2019

Phonemic Awareness in Young Children

A Classroom curriculum

By

Marilyn Jager Adams, Ph.D.
Harvard University
Cambridge, Massachusetts

Barbara R.Foorman, Ph.D.
University of Texas
Houston, Texas

Ingvar Lundberg, Ph. D.
Goteborg university
Goteborg, Sweden
And

Terri Beeler, Ed.D.
University of Houston
Houston, Texas

Copyright 1998
ISBN 9781557663214

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

ASSISTING BETTER COMMUNICATION

სემთა
საქართველოს ენისა და მეტყველების თერაპევტთა ასოციაცია

The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorse-ment of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held re-sponsible for any use which may be made of the information contained therein.

რედაქტორი: ქეთევან ჩოლოყაშვილი

ტექნიკური უზრუნველყოფა: გვანცა მახათაძე

თბილისი, 2019
ISBN 978-9941-8-1741-0
© საქართველოს ენისა და მეტყველების თერაპევტთა ასოციაცია (სემთა)

თავი 1

ფონემატური ცნობიერების მნიშვნელოვნება და მახასიათებელი

მანამ, სანამ ბავშვები გააცნობიერებენ ანბანის პრინციპს, ისინი უნდა მიხვდნენ, რომ ეს ის ბგერებია, რომლებსაც საუბრის დროს ვიყენებთ. მათთვის, ვინც უკვე იცის წერა-კითხვა ეს ფაქტი ძალიან ბაზისურია.

მეტყველების პატარა ნაწილს წარმოადგენს ფონემები. იგი დაკავშირებულია ანბანთან. ცოდნა იმის შესახებ, რომ ენა შედგება ამ პატარა ნაწილებისგან, არის ფონემატური ცნობიერება.

რატომ არის ფონემების ცნობიერება ასეთი რთული? ზოგადად არ ვაკვირდებით ცალკეულ ფონემებს, მათი წარმოთქმის პრინციპს საუბრის დროს. ჩვენ მათ ავტომატურად წარმოვთქვამთ. სირთულე მდგომარეობს იმაში, თუ როგორ დავაინტერესოთ ბავშვები, დააკვირდნენ ცალკეულ ფონემებს, მათი არსებობასა და გამიჯვნა. ამ მიზნის მისაღწევად სკოლამდელ ასაკში ძალიან კარგად ერგება სავარჯიშოები, რომლებიც მოიცავს რითმის აღქმას, მოსმენის აქტივობებს. მოცემული ტიპის სავარჯიშოები ძალიან კარგად მუშაობს ფონემატური ცნობიერების განსავითარებლად.

მოცემული წიგნი მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს ფონემატური ცნობიერების განვითარებას სკოლამდელ და დაწყებით კლასებში. იგი ეფუძნება პროგრამას, რომელიც შეიმუშავეს Lundberg, Frost და Petersen (1988) შვეიცარიასა და დანიაში. ამერიკულ ინგლისურზე თარგმნისა და ადაპტირების შემდეგ, იგი გამოვცადეთ რამდენიმე ბაღსა და სკოლაში. იმ ბაღებში, სადაც იყენებდნენ მოცემულ მიდგომას, გაცილებით მალე მოახდინეს სიტყვების ბგერების ანალიზი, ვიდრე იმ ბაღებში, სადაც არ იყენებდნენ ამ პროგრამას (Foorman, Francis, Beeler, Winikates & Fletcher, 1997; Foorman, Francis, Shaywitz, Shaywitz & Fletcher, 1997). მოცემული უნარი გულისხმობს, მოახდინო სიტყვაში ბგერების ანალიზი, ძალიან მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც ხელს უწყობს წერა-კითხვის უნარის განვითარებას პირველ კლასში (Wagner, Torgesen & Rashotte, 1994).

ფონემატურის ცნობიერება ბავშვებში: საკლასო კურიკულუმი

მოცემული კურიკულუმი წარმოადგენს თამაშებისა და აქტივობების პროგრამას, რომელიც გამოიყენება საბავშვო ბაღებში, პირველ კლასში და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან (დანართი B და C). დანართ D — ში მოცემულია იმ მასალების ჩამონათვალი, რომელიც დაგჭირდებათ წარმოდგენილი აქტივობების და თამაშების განხორციელებისთვის.

შენიშვნა აკადემიური პედაგოგისთვის

სირთულეები ფონეტიკური უნარის განვითარებაში, შემდგომ ხდება მიზეზი წერა-კითხვის დასწავლის სირთულეებისა. ორიგინალი პროგრამის მიხედვით მნიშვნელოვანია თამაშების ხშირი გამოყენება და გადაიხედოს უკვე გამასტერებული უნარი და შემდგომ გართულდეს. სპეციალური საჭიროების მქონე კლასში პროგრამა უნდა შედგეს ბავშვის განვითარების ეტაპის და სირთულის მიხედვით და დაიწყოს მუშაობა აქედან. გასათვალისწინებელია, რომ უნდა გამასტერდეს ერთი შერჩეული სფეროდან ყველა აქტივობა და ამის შემდგომ წარვუდგინოთ ბავშვს მომდევნო სფეროს აქტივობები. მაგალითად მარცვლების აქტივობები სრულიად უნდა დაძლიოს ბავშვმა, რათა გადავიდეს საწყისი ბგერის აქტივობებზე.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სწავლების მეთოდოლოგიას ფონემატური დავალებების წარდგენა, მოსინჯვა, გაფართოება და გადახედვა. ახალი დავალებები დალაგებულია სირთულის მიხედვით. შექმნილია მასწავლებლებისთვის და ადვილად გამოსაყენებელია. პროგრამა მოიცავს განმარ-

ტებებს აქტივობების განხორციელებისთვის, რადგან თავიდან ავიცილოთ სირთულეები, აქტივობების განხორცილების დროს. ასევე გთავაზობთ სავარაუდო განრიგს საგაკვეთილო პროცესისთვის და მნიშვნელოვანია დროდადრო მათი გადახედვა შეცვლის მიზნით.

აქტივობები შექმნილია ისე, რომ მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება, შეაფასოს ბავშვის პროგრესი არაფორმალური დაკვირვების გზით, მათი პასუხების და გარემოს მიხედვით. მასწავლებლებს ვურჩევთ ჯგუფის საერთო პასუხებიდან გამომდინარე ხშირად ცვალონ აქტივობები და ეს იყოს ბავშვებისთვის არაპროგნოზირებადი. ეს არის ორმაგი სტრატეგია. მოცემული პროგრამის საშუალებით, მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს ბავშვის ინდივიდუალური მიღწევები, ასევე მისცეს ბავშვს მოტივაცია, აქტიურად და გონივრულად ჩართოს მოცემულ აქტივობებში.

დამატებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ პროგრამაზე მუშაობის პროცესში მეტი ყურადღება გავამახვილეთ იმაზე, თუ რა საჭიროებები აქვთ ბავშვებს განვითარების პროცესში. ყველა სესია არის მოკლე და შედგება არაუმეტეს ორი ან სამი აქტივობისგან. ყველა თამაში გულისხმობს ბავშვის აქტიურ მონაწილეობას, მივცეთ ბავშვს შესაძლებლობა, შეადგინოს აზრსმოკლებული სიტყვები ან რითმები და იმოქმედოს მისი წარმოსახვიდან გამომდინარე. თამაშების უმეტესობა მოიცავს ფიზიკურ აქტივობას. ბავშვებს მოეთხოვებათ აქტიური ჩართულობა.

ბოლოს შენიშვნების ადაპტაციასა და ამ პროგრამის გაერთიანებასთან დაკავშირებით: პირველი და ყველაზე ნათელი ენის სავარჯიშოების პირდაპირი თარგმნა შეუძლებელია, რადგანაც იგი მოიცავს სხვა ენაზე შექმნილ ორიგინალ ლექსებსა და ფონოლოგიურ თამაშებს, ამიტომ მოხდა ჩანაცვლება ინგლისური ვერსიებით

თავი 2

მოსმენა

არასამეტყველო ხმების მოსმენა ყველა ადამიანისთვის ადვილი და ბუნებრივი პროცესია — ისინი ყურადღებას აქცევენ მათ. ამ უნარში მნიშვნელოვანი მოტივი იგულისხმება: გავაცნოთ ბავშვებს აქტიურად, ყურადღებით და ანალიტიკურად მოსმენის უნარის ხელოვნება.

ბავშვებს ვთხოვთ მოუსმინონ ბევრ ხმას, რომელიც მათ ყოველდღიურად ხვდებათ, მაგალითად: ქარის ხმა, ოთახის გამაგრილებლის ხმა, მაკრატლით ფურცლის გაჭრის ხმა. მათ თვალები აქვთ დახუჭული და ვთხოვთ გამოიცნონ ხმები, მათი თანმიმდევრობა და ხმის გამომცემი წყაროს ადგილმდებარეობა. მას შემდეგ, რაც ბავშვი ხვდება მოცემული აქტივობის პრინციპს, მას ვთავაზობთ მსგავს აქტივობას უკვე მნიშვნელობის მქონე სიტყვების (ენის) გამოყენებით. მაგალითად შეიძლება შევთავაზოთ მათთვის ნაცნობი ლექსების და ზღაპრების მოსმენა და ამ დროს მათთვის ნაცნობი სიტყვები შევცვალოთ აზრსმოკლებული სიტყვებით. ბავშვებისთვის ნაცნობ ლექსსა და მოთხრობაში ცვლილების აღმოჩენისას ბავშვი სწავლობს ყურადღებით მოსმენის უნარს, აღმოაჩინოს არა ის სიტყვა, რომელსაც ელოდება ლექსში, არამედ რაც რეალურად ესმის მას.

სავარჯიშოები

2.1 სხვადასხვა ხმების მოსმენა

მიზანი: საშუალება მივცეთ ბავშვს გამოიკვლიოს საკუთარი მოსმენის უნარი და გაივარჯიშოს ის სხვადასხვა ხმების მოსმენით და მათზე ყურადღების გამახვილებით.

მასალა: სხვადასხვა საგნების ხმები ჩაწერილი (აუდიო).

აქტივობა: ჩვენი სამყარო სავსეა ხმებით. ამ სავარჯიშოს მეშვეობით ბავშვები გაიაზრებენ, რომ თუ მოისმენენ, ისინი გაიგონებენ ხმებს შენობის გარეთ ან შენობაში. სანამ ამ სავარჯიშოს დაიწყებთ ესაუბრეთ ბავშვს მოსმენაზე ჯერ თვალებდახუჭული და თვალებგახელილი, შემდეგ სთხოვეთ ბავშვს დახუჭოს თვალები და უბრალოდ მოისმინოს ხმები. ცოტა ხნის შემდეგ სთხოვეთ მათ დაასახელონ რისი ხმა ესმით. ბავშვები მალე სწავლობენ მოსმენის აქტივობას. ხმების სავარაუდო ჩამონათვალი: ჩიტი, მანქანა, სუნთქვა, საათი, ძაღლი, ფეხის ნაბიჯები, ხმები, ქარი, ტრაქტორი, ყლაპვა, გულისცემა.

2.2 ხმების თანმიმდევრობის მოსმენა

მიზანი: ყურადღების და მეხსიერების განვითარება, ასევე იფიქრონ მათ თანმიმდევრობაზე და გამოიყენონ ენა მათი აღწერისთვის.

მასალა: ნივთები, რომლებიც გამოსცემენ საინტერესო და დამახასიათებელ ხმებს: დაკაკუნება, სულის შებერვა, დასტვენა, ტაშის დაკვრა, ენით ხმის გამოცემა, ფანქრით დაწერა ფურცელზე, დახველება, დანით დაჭრა, ფურცლის გახევა, ფურცლის მაკრატლით დაჭრა, დაგდება (სხვადსხვა ნივთების), თითებით დაკვრა დოლზე, ვაშლის ჭამა, ფანჯრის გაღება, ზარის დარეკვა, წიგნის გადაფურცვლა, თითების დატკაცუნება.

აქტივობა: ამ აქტივობაში ბავშვებმა ჯერ უნდა განსაზღვრონ ცალკეული ხმა და შემდეგ მათი თანმიმდევრობა. ბავშვს უნდა ავუხვიოთ თვალები, სანამ გამოსცემთ მისთვის ნაცნობ ხმებს. ბავშვი უნდა ეცადოს გამოიცნოს ხმა, გამოხედვის გარეშე. როდესაც ბავშვი მიხვდება თამაშის პრინციპს გაზარდეთ ხმის რაოდენობა ორამდე. ამჯერად უნდა გამოიცნონ 2 ხმა და თანმიმდევრობით დაასახელონ. გაისმის ორი ნივთის ხმა. პირველი ჩვენ გავიგონეთ _____ და შემდეგ გავიგონეთ _____". მომდევნო ეტაპზე, როდესაც ბავშვი კარგად გაართმევს თავს ორ ხმას, კიდევ გაზარდეთ. შეაქეთ წინადადების აწყობის მცდელობა.

2.3 ნიკოლოზ სად ხარ?

მიზანი: წავახალისოთ ბავშვის მონდომება, რათა მოისმინოს ყურადღებით.

აქტივობა: ეს აქტივობა ეხმარება ბავშვს სენსიტიური მოსმენის უნარის განვითარებაში. ეს თამაში ბავშვს ეხმარება სამიზნე საგნის ლოკაციის პოვნაში. დასვით ბავშვები წრეზე, ერთი ბავშვი არის თვალებახვეული და ზის ცენტრში, ამ დროს სხვა ბავშვი მოძრაობს ოთახში და გამოსცემს ცხოველების ხმებს. ცენტრში მჯდომმა ბავშვმა თითით უნდა გვიჩვენოს საიდან ისმის ხმა და დაასახელოს. მიზანი არის მიგვითითოს ხმის გამომცემ ადგილზე. შემდეგ ბავშვები ცვლიან ადგილებს.

2.4 მაღვიძარას დამალვა

მიზანი: მოახდინოს ხმის ლოკალიზაცია.

მასალა: მაღვიძარა, რომელიც ხმას გამოსცემს (ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ტელეფონი, რომელზეც ჩართული იქნება მუსიკა)

აქტივობა: ბავშვს ვთხოვოთ დახუჭოს თვალები, ამ დროს დავმალოთ მაღვიძარა. ბავშვი ახელს თვალებს და ცდილობს იპოვნოს მაღვიძარა ხმით. სხვა ბავშვები ამ დროს ჩუმად უნდა იყვნენ, რათა არ მიანიშნონ მას, ვინც ეძებს მაღვიძარას ან ტელეფონს.

2.5 ვინ, რა თქვა?

მიზანი: მოისმინონ ცალკეული ხმა და შეუსაბამონ ხმის გამომცემ წყაროს.

მასალა: სათამაშო ცხოველები, ცხოველების ბარათები, ცხოველების წიგნი.

აქტივობა: ამ აქტივობაში ხმის გამომცემი წყარო არის ცხოველი, შემდგომ ეს თამაში გამოგვადგება ფონემებზე სამუშაოდ. წარუდგინეთ ბავშვს სათამაშო ცხოველი ან ბარათი და ჰკითხეთ „რომელი ცხოველი კნავის?“ ბავშვმა უნდა დააწყვილოს ბარათი სათამაშოსთან და აჩვენოს სწორი პასუხი დანარჩენ ბავშვებს ჯგუფში.

შენიშვნა: *ბავშვების უმრავლესობა ამ აქტივობას კარგად ართმევს თავს. ეს აქტივობა ერთგვარი წახალისებაა მათთვის, რათა დარწმუნდნენ საკუთარ შესაძლებლობებში.*

2.6 უაზრო სიტყვა

მიზანი: შეძლოს მოსალოდნელი ხმის განსხვავება რეალურად გაჟღერებული ხმისგან.

მასალა: ლექსების ან მოთხრობების წიგნი, რომელიც ნაცნობია ბავშვებისთვის.

აქტივობა: დასვით ბავშვები, დაახუჭინეთ თვალები, რათა კონცენტრაცია მოახდინონ იმაზე, თუ რას მოისმენენ. წაიკითხეთ ხმამაღლა ან ხმადაბლა მისთვის ნაცნობი ლექსი ან მოთხრობა, ამ დროს თქვენ ერთ-ერთ მათთვის ნაცნობს სიტყვას ცვლით აზრსმოკლებული სიტყვით. ბავშვების მიზანია აღმოაჩინონ ეს განსხვავება კითხვის პროცესში. როდესაც თავს გაართმევენ, წაახალისეთ ისინი აღწერონ, თუ რომელი იყო განსხვავებული სიტყვა. ეს თამაში სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლოა გამოიყენოთ სხვადასხვა ვარიაციებით. მოცემული აქტივობა ხელს უწყობს ენის სხვადასხვა ნაწილების, ფონოლოგიის, სინტაქსის, სიტყვის და სემანტიკის ცნობიერების გაზრდას.

2.7 ჩურჩულის თამაში

მიზანი: გადალახოს დისტრაქტორი, გამოარჩიოს განსხვავებული გამოთქმა აქტიური მოსმენის დროს.

აქტივობა: დასვით ბავშვები წრეზე, ჩასჩურჩულეთ რაიმე თქვენ მარცხნივ მჯდომ ბავშვს, შემდეგ ის ჩასჩურჩულებს მის გვერდით მჯდომს და ასე განვაგრძოთ საათის ისრის მიმართულებით. ბოლო ბავშვი ხმამაღლა ამბობს იმ სიტყვას, რაც ჩასჩურჩულეს.

ეს თამაში რთულია გარკვეული მიზეზების გამო. პატარა ბავშვებს სჭირდებათ გამოცდილება, რათა დაიცვან რიგითობა საათის ისრის მიმართულებით. ეს თამაში უფრო ლინგვის-

ტური რომ გახდეს, შეარჩიეთ უფრო პატარა ჯგუფი 4-5 ბავშვით. დაიწყეთ ცალკეული სიტყვებით და გადადით მოკლე ფრაზებზე და შემდგომ უკვე წინადადებებზე. ამ თამაშის დროს თუ ჯგუფში არის ბავშვი, რომელსაც სირთულეები აქვს სხვისი ნათქვამის გაგებაში, უკეთესია მის გვერდით დაჯდეთ, რათა დაეხმაროთ უკეთ აღიქვას ინსტრუქცია. თუ ჯგუფში არიან ბავშვები, რომელთაც აქვთ მეტყველების პრობლემები, უმჯობესია გამოტოვოთ ეს აქტივობა.

2.8 გახსოვს?

მიზანი: გავავარჯიშოთ ბავშვის უნარი, დაიმახსოვროს და შეასრულოს მოქმედებები თანმიმდევრობით. უფრო ზოგადი უნარი: ყურადღებით მოისმინოს სხვის მიერ ნათქვამი სიტყვები. მოცემული უნარი მნიშვნელოვანია ენის აღქმასა და ვერბალური ინსტრუქციების შესრულებისთვის.

მასალა: სურათები

აქტივობა: ეს თამაში ორიენტირებულია ინსტრუქციების თანმიმდევრობით შესრულებაზე. ბავშვმა უნდა შეასრულოს მოქმედებათა სერია (მაგ. ადექი, ასწიე ერთი ფეხი, დახურე კარი და თქვი ბუუუ). ამ დროს სხვა ბავშვები აკვირდებიან მას, ვინც ასრულებს ინსტრუქციას და უსმენენ მასწავლებლის მიერ მიცემულ ინსტრუქციას. ამის მიხედვით ცერა თითს ზევით სწევენ ან ქვევით, იმის მიხედვით ბავშვი სწორედ ასრულებს თუ არა ინსტრუქციას.

დასაწყისში თამაშის დროს შერჩეული ინსტრუქციები უნდა იყოს მარტივი და მოკლე. ინსტრუქციების სიგრძე და სინტაქსური სირთულე უნდა შეირჩეს ბავშვის შესაძლებლობიდან გამომდინარე. <u>მაგალითები</u>: 1. ადვილი: წადი მაგიდასთან. აიღე წიგნი. 2. რთული: შეძვერი მაგიდის ქვეშ, ადექი. აიღე სამი წიგნი. გაიღიმე. 3. უფრო რთული: დადექი შენს მარჯვენა ფეხზე. ახტი ოთხჯერ. აიღე ორი წიგნი და თან პარალელურად გაუღიმე მარის.

შენიშვნა: *დააკვირდით ბავშვს ფრთხილად, რათა განსაზღვროთ ვის დასჭირდება დახმარება (ენის აღქმის თვალსაზრისით) ამ აქტივობის დროს.*

თავი 3

რითმა

გარითმვის უნარი ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან ადვილად ვითარდება. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფონოლოგიურ ცნობიერებაში. გარითმვის დროს ბავშვი ყურადღებას აქცევს სიტყვაში ბგერების მსგავსებას, განსხვავებულობას. მისი საშუალებით ადვილად შეგვიძლია დავანახოთ ბავშვებს, რომ სიტყვა ზოგჯერ იცვლის ფორმასა და მნიშვნელობას.

ქვემოთ მოცემული აქტივობების შესრულების დროს ბავშვებს ევალებათ დააკვირდნენ და ითამაშონ რითმებით სხვადასხვა ლექსების გამოყენებით. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ გაკვეთილების მიზანია ბავშვებმა აღიქვან მათ მშობლიურ ენაში არსებული ბგერები.

სავარჯიშოები

3.1 სიმღერები და ლექსები

მიზანი: გამოიყენეთ ლექსები, რათა გაზარდოთ ბავშვების ცნობიერება სამეტყველო ხმების მახასიათებლებზე.

მასალა: რითმის, სიმღერების, ლექსების წიგნები.

აქტივობა: ლექსები, სიმღერები და რითმები, რომლებიც ბავშვებმა ზეპირად იციან, ძალიან კარგი საშუალებაა რითმის თამაშებისთვის. თავდაპირველად შესთავაზეთ ბავშვს ერთი ან ორი რითმა, რომელიც შეეძლება დაიმახსოვროს. შესაძლებელია დროდადრო დავამატოთ რითმები. თავდაპირველად, როდესაც პირველად წარვუდგენთ ბავშვს ლექსს/რითმას, კითხვის დროს ხმამაღლა წავიკითხოთ რითმები. წაიკითხეთ ერთი ხაზი, ბავშვმა უნდა გაიმეოროს წაკითხული ხაზები. იქიდან გამომდინარე, რომ მოცემული ლექსი/რითმა ყველამ უნდა ისწავლოს, კითხვის ტემპი უნდა იყოს ნელი. გაზარდეთ ტემპი, როდესაც ბავშვები გააუმჯობესებენ დასწავლილ ლექსს.

ვარიანტები:

- ლექსი წაიკითხეთ ხმადაბლა, ხოლო ლექსში არსებული რითმის სიტყვები ხმამაღლა.
- წაიკითხეთ ლექსი ხმამაღლა, ხოლო ლექსში არსებული რითმის სიტყვები ხმადაბლა.
- დაიწყეთ ლექსის კითხვა ჩვეულებრივი ხმით და ნელ-ნელა მოუმატეთ ხმას.
- დასვით ბავშვები წრეში და მოაყოლეთ კარგად ნასწავლი ლექსის ხაზები ხმამაღლა სათითაოდ.

3.2 რითმის მოთხრობები

მიზანი: ვასწავლოთ ბავშვებს გამოიყენონ მნიშვნელობა, რათა გამოჰყონ და წინასწარ მიხვდნენ რითმის სიტყვებს ტექსტში.

მასალა: რითმის წიგნები

აქტივობა: ამ აქტივობაში ბავშვებმა უნდა გამოიყენონ სიტყვების მნიშვნელობები, რათა ტექსტში აღმოაჩინონ და წინასწარ მიხვდნენ გარითმულ სიტყვებს. ასეთი მოთხრობების წაკითხვის დროს, ხაზი გაუსვით რითმებს და წაახალისეთ ბავშვების აქტიური მოსმენა. პირველი მოთხრობის კითხვის დროს, განამტკიცეთ ბავშვის მიერ გარითმული სიტყვების მნიშვნელობის გაგება.

ვარიანტები:

- უკვე ნაცნობი წიგნის კითხვის დროს, გაჩერდით გარითმულ სიტყვასთან, შემდეგ ჰკითხეთ რომელი სიტყვები გაერითმა ერთმანეთს.
- ანალოგიურად ნაცნობი მოთხრობის კითხვის დროს, გაჩერდით გარითმული სიტყვების პირველ წყვილზე და ჰკითხეთ რა სიტყვა უნდა იყოს შემდგომი.

3.3 მოძრაობის დროს რითმებზე ხაზის გასმა

მიზანი: მოვახდინოთ ბავშვის ყურადღების კონცენტრაცია გარითმულ სიტყვებზე.

აქტივობა: მულტისენსორული თამაში კარგი საშუალებაა მოვახდინოთ ბავშვის ყურადღების კონცენტრაციისთვის. ტრადიციული საბავშვო რითმები (გათვლები), ლექსები შესანიშნავი საშუალებაა რითმების და მოძრაობების ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

3.4 სიტყვების გარითმვა

მიზანი: მივახვედროთ ბავშვები, რომ სიტყვები შესაძლებელია გაირითმოს ერთმანეთთან.

მასალა: სიტყვების ჩამონათვალი, რომელიც ერითმება ერთმანეთს.

აქტივობა: ამ თამაშში ჩვენ ვამბობთ სიტყვას, რომელიც შესაძლებელია გავრითმოთ, შემდეგ ვანიშნებთ ბავშვს, რომ გვითხრას მისი შესაბამისი სიტყვა (რომელიც ერითმება). შესაძლებელია, გავზარდოთ აქტივობის სირთულე და ბავშვს ვთხოვოთ ერთის ნაცვლად ორი სიტყვის მოფიქრება. როდესაც თამაში უკვე ნაცნობი იქნება ბავშვებისთვის, შესაძლებელია თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალურად შევასრულოთ აქტივობა.

მაგალითები:

- *თავი — შავი — ნავი*
- *ძმა — თმა — ხმა*
- *ქვა — რვა*
- *პური — ყური*
- *ქუდი — კუდი*
- *სკამი — სამი*
- *კუ — ბუ*
- *ქალი — ბალი — მსხალი — ხმალი*
- *ბელი — ხელი — გველი — ყველი*
- *კარი — ბარი — ქარი*
- *კაცი — ცარცი — კვიცი*
- *მამალი — წამალი*
- *ცოცხი — ფოცხი*
- *გული — ფული*

არ გქონდეთ იმის მოლოდინი, რომ ბავშვები ამ დავალებას თავს გაართმევენ ისე, როგორც მოზრდილები. მათ მიერ მოფიქრებული სიტყვები შესაძლოა იყოს უაზრო, რაც კარგია, რადგან ჩვენი მთავარი მიზანია ბავშვს გავუვარჯიშოთ რითმის უნარი ენაში არსებულ ბგერებზე.

3.5 შეგიძლია გარითმო?

მიზანი: ვასწავლოთ ბავშვებს რითმის შექმნა ფონოლოგიურ მინიშნებებზე დაყრდნობით.

მასალა: მარტივი წინადადებების კრებული, რომლებშიც სიტყვები გარითმულია.

აქტივობა: მოდელირებისთვის ბავშვებს წავუკითხოთ რამდენიმე წინადადება ხმამაღლა თან ხაზი გავუსვათ რითმს. შემდგომ ვთხოვოთ ბავშვს თვითონ დაასრულოს წინადადება.

მაგალითები:

- *რამდენია აქ ქვა — დავითვალე არის _____ (8)*
- *გაუწითლდა გოგოს ყური — მოიპარა თურმე _____ (პური)*
- *ძაღლს სციოდა, დავახურე ქუდი — გააქიცინა _____ (კუდი)*
- *მოვიდა ჩემი ძმა — მან მომქაჩა _____ (თმა)*
- *საშიშია გველი — არ მოკიდო _____ (ხელი)*
- *ბავშვი არის 3 — მოიტანე _____ (სკამი)*
- *ავიღე ცარცი — დავხატე _____ (კაცი)*
- *მე მიყვარს მსხალი — შენ გიყვარს _____ (ბალი)*
- *ზოოპარკში ვნახე ბელი — ვერ დავადე _____ (ხელი)*
- *ვიპოვე ფული — ამიჩქარდა _____ (გული)*
- *ავად გახდა მამალი — დავალევინე _____ (წამალი)*
- *მე მინდოდა ბუ — და მაჩუქეს _____ (კუ)*

3.6 გემი დატვირთულია...

მიზანი: ვასწავლოთ ბავშვს გაგვცეს პასუხი სწრაფად მინიშნების გარეშე.

მასალა: ბურთი ან რაც გორავს

აქტივობა: დავსვათ ბავშვები წრეში. დაიწყეთ თამაში და თქვით: „გემში არის ბალი“. შემდეგ გაუგორეთ ბურთი წრეში მჯდომ ერთ-ერთ ბავშვს. მანაც უნდა მოიფიქროს რითმი და თქვას „გემში არის ქალი“ და გამოგიგოროთ ბურთი უკან. გაიმეორებთ თქვენ მიერ თავდაპირველად ნათქვამ რითმს და გაუგორებთ ახლა უკვე სხვა ბავშვს და ახლა უკვე სხვამ უნდა მოიფიქროს სიტყვა, რომელიც ერითმება თავდაპირველ სიტყვას (ბალი). როდესაც ბავშვები კარგად გაიგებენ რითმების პრინციპს თითოეულ ბავშვს შეუძლია ბურთი გაუგოროს უკვე სხვა ბავშვს და არა მასწავლებელს. მეორე ბავშვმა უნდა განაგრძოს რითმები პირველი სიტყვის მიხედვით. გემში არის ბალი (ქალი, მსხალი, ხმალი). ბავშვების მიერ მოფიქრებული სიტყვები შესაძლოა იყოს უაზრო.

3.7 რითმის წიგნი

მიზანი: შევქმნათ ბავშვების მიერ გამოგონილი გარითმული სიტყვების კრებული.

აქტივობა: რითმის წიგნის გაკეთება ძალიან კარგი საშუალებაა დავინახოთ ბავშვის მიერ ნასწავლი რითმები. როდესაც ბავშვი კარგად გაართმევს თავს რითმების თამაშებსა თუ სავარჯიშოებს ისინი დაჯილდოვდებიან რითმის წიგნის შექმნით. თითოეულმა ბავშვმა უნდა შექმნას თავისი რითმის ბუკლეტი, რომელსაც შეიძლება დაურთონ ილუსტრაცია. შესაძლებელია შექმნილი წიგნები ბავშვებმა გაუზიარონ მთელს ჯგუფს.

თავი 4

სიტყვები და წინადადებები

ჩვენი მიზანია დავანახოთ ბავშვებს ენის სტრუქტურა. ამ თავში წარმოდგენილი აქტივობები აძლევს ბავშვს ბაზისურ ცნობიერებას სიტყვებსა და წინადადებებზე. ამ თავის მიზანია წინადადების სამი ბაზისური თვისების ჩვენება:

1. წინადადება არის ლინგვისტური ნაკრები, რომლის საშუალებითაც ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს ფიქრებს.
2. წინადადება შედგება მნიშვნელობის მქონე სიტყვებისგან.
3. წინადადების მნიშვნელობა დამოკიდებულია შემადგენელ სიტყვებზე და მათ სპეციფიურ განლაგებაზე წინადადებაში.

სავარჯიშოები

4.1 წინადადების იდეის წარდგენა

მიზანი: წინადადების რაობის გაცნობა

მასალა: სურათები

აქტივობა: ვიწყებთ წინადადების მნიშვნელობის მარტივად ახსნით. მაგალითად აუხსენით, რომ წინადადება ჰგავს პატარა ამბავს და ისევე, როგორც ამბავი, წინადადებაც გვიყვება ამბავს. წინადადებაში ვიგებთ ვიზე ან რაზეა ამბავი.

შეგვიძლია ვაჩვენოთ მაგალითი: *ნიკას აქვს სკოლის ჩანთა; დათოს აცვია ლურჯი მაისური*. ყოველი მაგალითის შემდეგ გავუმეოროთ, რომ ეს არის წინადადება და ბავშვებმა უნდა გაიმეორონ „წინადადება“ ხმამაღლა. იმისთვის, რომ ბავშვები კარგად გაერკვნენ თუ რა არის წინადადება, მათ უნდა შევთავაზოთ წინადადება სუბიექტის გარეშე (*აქვს ცისფერი თვალები; წავიდა სკოლაში; აცვია წითელი კაბა*). შემდეგ ვეკითხებით არის თუ არა ეს წინადადება და ვუხსნით, რომ ეს ვერ იქნება წინადადება, რადგან იგი არ გვიჩვენებს თუ ვიზეა ან რაზეა ეს წინადადება. შემდეგ შევთავაზოთ დასრულებული წინადადება (*ნიკას აქვს ცისფერი თვალები, ნინოს აცვია წითელი კაბა*).

ვაჩვენოთ და ავუხსნათ ბავშვებს, რომ წინადადება უნდა გამოხატავდეს დასრულებულ აზრს. ვკითხოთ არის თუ არა ეს წინადადება „ბავშვები“, „ ნიკოლოზი“. შემდეგ ავუხსნათ: მიუხედავად იმისა, რომ ვიცით თუ ვიზე არის საუბარი ეს არ არის წინადადება, რადგან იგი არაფერს აღგვიწერს. ასეთი მაგალითის რამდენჯერმე განხილვის შემდეგ ვთხოვოთ ბავშვებს წარმოგვიდგინონ საკუთარი წინადადებები.

ეს მოკლე აქტივობა საკმარისია პირველი დღისთვის, რათა ბავშვებმა კარგად აღიქვან. მოცემულ აქტივობას ვიმეორებთ მანამ, სანამ ჯგუფში ყველა ბავშვი არ შეადგენს დამოუკიდებლად წინადადებებს.

ვარიანტები:

- ვთხოვოთ ბავშვს შეადგინოს წინადადება სურათის მიხედვით.
- ვთხოვოთ ბავშვს განსაზღვროს როგორ წინადადებას ვამბობთ: ეს არის წინადადება თუ უაზრო წინადადება. თუ ბავში მიხვდება, რომ ამბობთ უაზრო წინადადებას წაახალისეთ გითხრათ იგი სწორი ფორმით.

4.2 წინადადებაში სიტყვების მნიშვნელობის წარდგენა

მიზანი: ბავშვებს გავაცნოთ, რომ წინადადება შედგება სიტყვებისგან.

მასალა: სიტყვების ბარათები, მარკერი, პასტა, დაფა.

აქტივობა: შეადგინეთ ორი ერთმარცვლიანი სიტყვით შემდგარი წინადადება (მაგალითად: ხე დგას). აუხსენით ბავშვს, რომ ამ წინადადებას ორი ნაწილი/ორი სიტყვა აქვს. წარმოადგინეთ სიტყვები, ააწყვეთ წინადადება ცალკეული სიტყვის ბარათებით ან დაწერეთ დაფაზე, სიტყვები ჩაწერეთ კვადრატებში.

შემდეგ შექმენით ახალი წინადადება (კუ ჭამს ბალს). ახალი წინადადება დაწერეთ ძველი წინადადების ქვემოთ შემდეგნაირად:



განიხილეთ ბავშვებთან ერთად სიტყვების რაოდენობა და შეადარეთ ორი წინადადების სიგრძე ისე, რომ ბავშვი მიხვდეს, რომ მეორე წინადადება პირველზე გრძელია, რადგან მასში უფრო მეტი სიტყვაა.

საწყის ეტაპზე სასურველია გამოიყენოთ ერთმარცვლიანი სიტყვები, სანამ ბავშვი არ ისწავლის სიტყვის და მარცვლის განსხვავებას.

ვარიანტები:

- სთხოვეთ ბავშვს გითხრათ რამდენი სიტყვაა წინადადებაში, სანამ ვიზუალურად აჩვენებთ.
- სიტყვების ბარათების დახმარებით აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ იცვლება წინადადების მნიშვნელობა სიტყვების გადანაცვლებით.

4.3 სიტყვების გაგება წინადადებაში

მიზანი: სიტყვების მნიშვნელობის ცნობიერების გაზრდა

მასალა: პატარა ზომის კუბები, მონეტები

აქტივობა: მიეცით ბავშვს ექვსი ან შვიდი პატარა კუბი ან მონეტა, რომლებსაც ბავშვები გამოიყენებენ წინადადებაში სიტყვების აღსანიშნავად — ერთი მონეტა არის ერთი სიტყვა. ვაჩვენოთ, თუ როგორ უნდა შეასრულოს დავალება ბავშვმა — თუ როგორ გაიმეოროს თქვენ მიერ ნათქვამი წინადადება ნელა, სიტყვებს შორის პაუზებით და გამოიყენოს მონეტები. წავახალისოთ ბავშვი ააწყოს მონეტები მარცხნიდან მარჯვნივ (როგორც იწერება წინადადება).



მონეტების დალაგების შემდეგ გავამეორებინოთ სრული წინადადება მონეტებზე თითის მიყოლით, სიტყვასიტყვით.

თავიდან წინადადება უნდა იყოს მოკლე (ორ-სამსიტყვიანი). როდესაც ბავშები კარგად გაართმევენ თავს ამ აქტივობას შესაძლებელია წინადადების სიგრძის გაზრდა.

სასურველია, საწყის ეტაპზე წინადადებაში სიტყვები იყოს მარტივი (ერთ ან ორმარცვლიანი) მანამ, სანამ ბავშვები არ დაძლევენ მარცვლების თავს (თავი 5).

4.4 მოკლე და გრძელი სიტყვების სავარჯიშო

მიზანი: სიტყვების კატეგორიების ცნობიერება. მნიშვნელოვანია ბავშვებმა გააანალიზონ, რომ სიტყვები დაყოფილია მნიშვნელობის მიხედვით და ისინი შეიძლება იყოს მოკლე ან გრძელი მიუხედავად მათი მნიშვნელობისა.

მასალა: დაფა, მაგნიტური ასოები ან სიტყვების ბარათები, მოთხრობების წიგნი.

აქტივობა: ამ თამაშის არსი მდგომარეობს იმაში, რომ წინადადება შედგება სიტყვათა სერიებისგან. მაქსიმალურად გასაგები რომ გავხადოთ ეს თამაში უნდა გამოვიყენოთ ერთმარცვლიანი სიტყვები.

ბავშვმა უნდა განსაზღვროს ორი სიტყვიდან რომელია ფონოლოგიურად უფრო გრძელი. ამ მსჯელობის გაკეთების დროს ბავშვებს ხშირად უჭირთ ერთმანეთისგან განასხვაონ სიტყვის ფორმა და მნიშვნელობა. მაგალითად, სიტყვა ჭიამაიას და კუს შორის რომელია გრძელი, შეიძლება შეგვეწინააღმდეგონ, რომ ჭიამაია უფრო გრძელი სიტყვაა.

ეს თამაში აწყობილია ამ ტენდენციის გამოსარკვევად. სიტყვების წყვილებს შორის ერთ-ერთი ყოველთვის ფონოლოგიურად გრძელი უნდა იყოს მეორეზე. სიდიდისგან დამოუკიდებლად ერთი სიტყვა მნიშვნელობით უნდა იყოს გრძელი. ასეთი ფორმატი აიძულებს ბავშვს განაცალკეოს სიტყვის ფორმა და მნიშვნელობა სიგრძის განსაზღვრის დროს.

რადგან ბეჭდური ფორმა გამოიყენება ბავშვების უკუკავშირისთვის, მნიშვნელოვანია ისინი დაბეჭდილი იყოს ისე, რომ სიტყვის სიგრძე ადვილად აღიქმებოდეს. ეს შეიძლება სხვადასხვა გზით გავაკეთოთ: ერთი — ხაზი გავუსვათ სიტყვის სიგრძეს და დავწეროთ მაგნიტური ასოებით. მეორე — დავბეჭდოთ სიტყვა ასოების მოზრდილი ზომით, რათა ხაზი გაესვას მათ სიგრძეს.

წაიკითხეთ სიტყვათა წყვილი (ბუზი და პეპელა) და კითხეთ ბავშვს თუ რომელი სიტყვაა გრძელი. როდესაც გიპასუხებთ წარუდგინეთ ნაბეჭდი ვერსია, რომ დაინახოს მისი პასუხი სწორი იყო თუ არა.

მაგალითები:

- მანქანა — ავტომობილი
- კატა — ვეფხვი
- ტაქსი — ავტობუსი
- კოღო — კუ
- ხე — ყვავილი

დამხმარე ობიექტი (დაბეჭდილი სიტყვა) არის იმიტომ, რომ ბავშვმა ისწავლოს მოსმენილის განსხვავება. ობიექტი არ უნდა გამოვაჩინოთ იქამდე, სანამ ბავშვი არ გვეტყვის პასუხს სიტყვა გრძელია თუ მოკლე.

ვარიანტები:

- მიუბრუნდით ამ თამაშს მას შემდეგ, რაც ბავშვი გააანალიზებს სიტყვების მარცვლებით დაყოფას. შესთავაზეთ მათ დაუკრან ტაში ყოველ მარცვალზე სიტყვაში, რათა გავარკვიოთ სიტყვის სიგრძე — რომელია გრძელი ან მოკლე. შემდეგ მივცეთ ნაბეჭდი ვერსია.
- ამოიღეთ მოთხრობებიდან სიტყვები, რაც გავლილი გაქვთ ბავშვებთან ერთად და ჰკითხეთ რომელია გრძელი ან მოკლე. შემდეგ მიუბრუნდით ორიგინალ ტექსტს რათა დაინახოთ სიტყვის სიგრძე.
- სთხოვეთ ბავშვებს, მშობლებს მოაფიქრებინონ გრძელი სიტყვები, რათა შედეგ ბავშვებმა შემდგომ გააზიარონ კლასში.

თავი 5

მარცვლები

მას შემდეგ, რაც ბავშვები გააცნობიერებენ, რომ წინადადება შედგება სიტყვებისგან, დრო(ა) მოდის ავუხსნათ, რომ სიტყვები შედგება მეტყველების მცირე რიგისგან — მარცვლებისგან.

გამომდინარე იქიდან, რომ მარცვლები მნიშვნელობას მოკლებულია, ბავშვები მათზე აქამდე არ დაფიქრებულან. სალაპარაკო ენის მარცვლები შეიძლება გაიგონონ და შეიგრძნონ: ისინი ურთიერთკავშირში არიან ხმასთან და ყბის გაღება-დახურვასთან. ამ მიზეზით ზოგიერთი ბავშვისთვის მარცვლების თამაში ახალია და რთულია მათი დაინტერესება. მარცვლების ცნობიერება მნიშვნელოვანი ნაწილია ფონემების ცნობიერების განვითარებაში, ამიტომ მასწავლებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ბავშვებს, რომელთათვისაც ეს სავარჯიშოები სირთულეს წარმოადგენს, გაუწიონ მათ დამატებითი დახმარება.

სანამ გადავალთ აქტივობებზე უნდა გავითვალოსწინოთ შემდეგი:

- აქტივობაში გამოყენებული სიტყვა ნაცნობი უნდა იყოს ბავშვისთვის, რადგან ძნელია დაიმახსოვრო უცხო სიტყვის ბგერები.
- მარცვლები უნდა გამოითქვას მკაფიოდ.
- ბავშვებმა უნდა გაიაზრონ სიტყვის ანალიზი დაყოფილი მარცვლების მეშვეობით და მოახდინონ სიტყვის სინთეზი დანაწევრებული მარცვლებით.

სავარჯიშოები:

5.1 ტაშის დაკვრა სახელებზე

მიზანი: გავაცნოთ ბავშვს მარცვლების ბუნება თავიანთი სახელების დამარცვლით და პარალელურად ტაშის დაკვრით.

აქტივობა: როდესაც პირველად წარუდგენთ ბავშვს ამ აქტივობას, გააკეთეთ მოდელირება და გამოიყენეთ სხვადასხვა სიგრძის სახელები. წარმოთქვით ბავშვის სახელი და დამარცვლასთან ერთად დაუკარით ტაში. სახელების ჩამოთვლის შემდეგ ჰკითხეთ ბავშვს, თუ რამდენი მარცვალი გაიგონა სახელში. როდესაც ბავშვი გაიგებს თამაშის პრინციპს დაამრაცვლინეთ სახელი ტაშის დაკვრასთან ერთად და დაათვლევინეთ მარცვლები. არ დაგავიწყდეთ ბავშვის გვარი. ამ გზით ადვილია გადავიდეთ სხვა სიტყვების დამარცვლაზე და მათი მარცვლების დათვლაზე. ამ თამაშის პირველად წარდგენის დროს თქვით ბავშვის სახელი, დაუკარით ტაში და შემდეგ უკვე ერთად დაუკარით ტაში. ასწავლეთ ბავშვს მარცვლების დათვლა ტაშის დაკვრის რაოდენობით.

ვარიანტები:

- ბავშვებმა დაუკრან ტაში და დაითვალონ მარცვლები მათ სახელსა და გვარში.
- სახელში მარცვლების დათვლის შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს მიიტანონ ორი თითი ნიკაპის ქვეშ ჰორიზონტალურად, ისე რომ იგრძნონ ნიკაპის ჩამოწევა თითოეულ მარცვალზე.

5.2 აიღე ერთი ნივთი ყუთიდან

მიზანი: განსხვავებული სიტყვების დამარცვლით და ტაშის დაკვრით, განვამტკიცოთ ბავშვის უნარი გააანალიზოს სიტყვების მარცვლები.

მასალა: ყუთი, სხვადასხვა ნივთები, სხვადასხვა ნივთების სურათები

აქტივობა: მოაგროვეთ სხვადასხვა ნივთები ყუთში. დარწმუნდით, რომ ამ ნივთების სახელები შედგება მარცვლების განსხვავებული რაოდენობით.

ბავშვმა უნდა დახუჭოს თვალები, ამოირჩიოს ერთ-ერთი ნივთი ყუთიდან და დაასახელოს (ეს არის ფანქარი). ჯგუფში მყოფმა ყველა ბავშვმა უნდა გაიმეოროს ნივთის სახელი დამარცვლით და ტაშის დაკვრით. შემდეგ ვკითხოთ თუ რამდენი მარცვალი გაიგონეს. ეცადეთ ბავშვებმა პასუხი ძალიან სწრაფად არ წამოიძახონ.

მას შემდეგ, რაც ბავშვები კარგად გაართმევენ თავს ამ თამაშს, შესაძლებელია გავართულოთ იგი უფრო გრძელი სიტყვების გამოყენებით.

ვარიანტები:

- გამოიყენეთ ფიზიკური მოძრაობები ტაშის დაკვრის ნაცვლად.
- ლექსიკონის გაზრდის მიზნით გამოიყენეთ ნივთების სურათები.
- გავაკეთოთ 5 განყოფილებიანი სათავსო. იმის მიხედვით, თუ რამდენმარცვლიანია სიტყვა ბავშვმა უნდა ჩადოს სურათი შესაბამის განყოფილებაში (1,2,3,4 ან 5).
- როდესაც ბავშვი კარგად გაართმევს თავს ამ აქტივობას, შემდეგ მივცეთ საშუალება ტაშის დაკვრის და ხმამაღლა დამარცვლის გარეშე ვთხოვოთ, გვითხრას თუ რამდენი მარცვალია სიტყვაში. ეს საკმაოდ რთულია, რადგან ამ შემთხვევაში ვაგდებთ კინესთეტიკურ ასპექტს.

5.3 მეფის მემკვიდრე

მიზანი: ამ აქტივობის მიზანია ავამაღლოთ ბავშვის ცნობიერება მარცვლებზე.

მასალა: სათამაშო ან ქაღალდის გვირგვინი

აქტივობა: გვირგვინს დაიდგამს მეფე. თავდაპირველად ბავშვები დგებიან წრეში. ისე უნდა მოიქცნენ, როგორც მეფე — წარმოთქვან სიტყვა (მოქმედების აღმნიშვნელი), პაუზები მარცვლებს შორის. ბავშვებმა უნდა დამარცვლონ ეს სიტყვა. მას შემდეგ, რაც აჩვენებთ თუ როგორ უნდა ითამაშონ, შესთავაზეთ დაიფარონ გვირგვინი რიგრიგობით და ბრძანონ, როგორც მეფეს შეესაბამება (თქვან სიტყვა).

5.4 ჯერ მოისმინე, შემდეგ შეხედე

მიზანი: მოვახდინოთ მარცვლების სინთეზი ნაცნობ სიტყვებად.

მასალა: ბავშვისთვის ნაცნობი ნივთების სურათები

აქტივობა: ამოირჩიეთ განსხვავებული მარცვლების რაოდენობის მქონე სიტყვები. აიღეთ სურათების ნაკრები და განუმარტეთ ბავშვებს, რომ უნდა თქვან თითოეულის სახელი, თუმცა განსხვავებული ფორმით — ერთ ჯერზე ერთი მარცვალი. წაახალისეთ ბავშვი ყურადღებით მოსმენისთვის.

თითოეული სურათის დასახელების დროს ისაუბრეთ მონოტონურად და გააკეთეთ მკაფიო პაუზები მარცვლებს შორის. როდესაც ბავშვი მიხვდება დამარცვლილ სიტყვას, აჩვენეთ სურათი და გაამეორებინეთ სიტყვა მარცვალ-მარცვალ.

ბავშვები ამ აქტივობას მალე ითვისებენ. თუ ასე არ მოხდა, გააკეთეთ ეს აქტივობა რამდენჯერმე, სანამ გადახვალთ შემდეგ აქტივობაზე.

5.5 საუბრობს ჯუჯა I: მარცვლები

მიზანი: განვამტკიცოთ ბავშვის უნარი მოახდინოს მარცვლების სინთეზი სიტყვებად.

აქტივობა: ბავშვები სხდებიან წრეზე და ვთავაზობთ მათ ამბავს:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კეთილი, პატარა ჯუჯა, რომელსაც ძალიან უყვარდა საჩუქრების ჩუქება. ჯუჯას უნდოდა ყველას წინასწარ სცოდნოდა, თუ რას აჩუქებდა. პრობლემა იმაში იყო, რომ ჯუჯა ცოტა უცნაურად საუბრობდა. თუ ჯუჯა ბავშვს ჩუქნიდა მაგალითად, ბურთს იგი ამბობდა ასე — „ბუ-რთი“. ჯუჯა იქამდე მოწყენილი იყო, სანამ ბავშვი გამოიცნობდა მის საჩუქარს.

შემდეგ იყავით ჯუჯა და დაიწყეთ სიარული ოთახში, მიდით თითოეულ ბავშვთან და უთხარით საჩუქრის სახელი მარცვალ-მარცვალ. როდესაც ერთი ბავშვი გამოიცნობს თავის საჩუქარს გადადით მომდევნო ბავშვზე. კარგია თამაშის პროცესში ჩართული იყოს ოთხი ან ხუთი ბავშვი, რადგან ეს თამაში დიდხანს გრძელდება.

თუ ბავშვისთვის უცხოა ჯუჯა, შეგიძლიათ იგი სხვა პერსონაჟით შეცვალოთ.

თავი 6

სიტყვის პირველი და ბოლო ბგერა

ამ თავში მოცემული აქტივობები გვეხმარება ბავშვს გავაცნოთ ფონემების თვისებები. თამაშები ისეა აწყობილი, რომ დაეხმაროს ბავშვს იმის გათავისებაში, რომ სიტყვა შეიცავს ფონემას და დაეხმაროს ისწავლონ ფონემები — ისე, რომ განასხვაონ ფონემების მახასიათებლები ერთმანეთისგან.

ფონემების განსხვავებების და მახასიათებლების აღქმა უფრო ადვილია პირზე ყურების საშუალებით, ვიდრე მოსმენით, ამიტომ ბავშვის ყურადღება უნდა მივმართოთ ფონემების არტიკულაციისკენ. ბავშვი მუდმივად უნდა წავახალისოთ ფონემების ძიებაზე, დაკავშირებაზე და დაპირისპირებაზე არტიკულაციის მიხედვით. მოცემულ აქტივობებში მათ ხშირად ვუსვამთ კითხვას „ რას აკეთებენ შენი ტუჩები, ენა, პირი და ხმა, როდესაც შენ ამბობ მ/ბ/ფ/ ბგერებს?“

პირველი ბგერის გარჩევა შედარებით ადვილია. პირველი რამდენიმე თამაში კონცენტრაციას ახდენს პირველი ბგერების გარჩევაზე. შემდგომ იგივე თამაშები მეორდება შუა და ბოლო ბგერების გარჩევაზე (ქართულ ენაში არ გვხვდება სიტყვები, სადაც თანხმოვანი არის სიტყვის ბოლოში. გამონაკლისებია არსებითი სახელის ბრუნვები (ს ბოლოში და ზმნა)

სიტყვის ბოლო ბგერების წარმოთქმა შესაბამისად უფრო რთულია. ამ სირთულეს უფრო მეტად ამწვავებს ზოგიერთი მოსაუბრის გაუგებარი არტიკულაცია, ზოგიერთს აქვს მიდრეკილება სრულიად ამოაგდოს ბოლო ბგერა სიტყვიდან დიალექტის ან უბრალოდ ჩვევის გამო. ეს ბგერები საკლასო ოთახში მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, ბავშვებს უჭირთ მათი აღმოჩენა დამოუკიდებლად.

სავარჯიშოები:

6.1 გამოიცანი ვინაა

მიზანი: წარვუდგინოთ ორი კონცეფცია — 1 როგორ ჟღერს ფონემები იზოლირებულად და 2 ფონემები არის სამყაროს ნაწილი

აქტივობა: ამ თამაშის მიზანი მის სტრუქტურაა. თამაშის დროს ბავშვმა უნდა მოახდინოს ფონემის დისკრიმინაცია, პარალელურად დააკავშიროს იგი სახელთან. ბავშვები სხედან წრეზე და ჩვენ ვამბობთ „აბა გამოიცანით ვისი სახელის თქმას ვაპირებ“. შემდეგ ამოარჩიეთ ერთ-ერთი ბავშვის სახელი და ავირჩიოთ მისი წინა ბგერა. ისეთი ბგერები, როგორიცაა /დ/ (მჟღერი), უნდა წარმოვთქვათ ნათლად და გავიმეოროთ ბევრჯერ /დ/ /დ/ /დ/ /დ/ /დ/, ხოლო ისეთი ბგერები, როგორიცაა /ს/ (ყრუ ბგერა) უნდა წარმოვთქვათ გაწელვით და გავიმეოროთ /ს-ს-ს-ს-ს/ /ს-ს-ს-ს-ს/. თუ რამდენიმე ბავშვის სახელი იწყება ერთ თანხმოვანზე, წაახალისეთ ისინი სახელის გამოცნობაში. ეს გვიჩვენებს, რომ ყველა ფონემა სხვადასხვა სიტყვაში გვხვდება.

ვარიანტები:

- როდესაც ამ თამაშს ბავშვები კარგად გაართმევენ თავს, შეგიძლიათ თამაშის კონტროლი გადაულოცოთ ბავშვებს. მას შემდეგ, რაც გამოიცნობენ ბავშვის სახელს მომდევნო ბავშვი დაჯდება შუაში ახალი სახელის წინა ბგერის სათქმელად.

6.2 სხვადასხვა სიტყვები, იგივე დასაწყისი ფონემა

მიზანი: ყველა ფონემა გვხვდება ბევრ სხვადასხვა სიტყვაში და დავანახოთ ბავშვს თუ რა მოსდით მათ არტიკულაციის დროს.

მასალა: თითოეული სამიზნე ფონემის შესაბამისი სურათი (ყველა ფონემაზე დაწყებული სიტყვების სურათები)

აქტივობა: შეარჩიეთ სამი ან ოთხი ფონემის სურათი. მაგალითად შეგიძლიათ შეარჩიოთ ბურთის, ბანანის, ბატის სურათი /ბ/ ფონემისთვის და ასევე მაიმუნის, მანქანის, მაგიდის სურათი /მ/ ფონემისთვის.

მნიშვნელოვანია, სიტყვა დაიწყოს თანხმოვანზე, რომელსაც მოსდევს ხმოვანი და არა ორი თანხმოვანი ერთად, როგორიცაა „მსხალი“.

ამ თამაშის დროს ამოირჩიეთ სურათების ერთი კომპლექტი. ბავშვმა უნდა დაგვისახელოს ყველა სიტყვა, რაც სურათებზეა გამოსახული. დაიმახსოვრეთ, რომ როდესაც სიტყვა უცხოა ბავშვისთვის ეს ართულებს ფონემების ამოცნობის პროცესს.

სურათების კომპლექტში ყველას დასახელების შემდგომ სთხოვეთ ბავშვს, ამოირჩიოს ერთი სურათი და დაასახელოს (ბურთი). გაიმეორეთ ეს სიტყვა პირველი ასოს გამოკვეთით (ბ-ბ-ბ-ურთი). შემდეგ ვთხოვოთ ბავშვებს იგივენაირად გაიმეორეონ ბ-ბ-ბ-ურთი. სთხოვეთ დააკვირდნენ თუ რა მოსდის პირს, როდესაც ამბობ „ბ“ ბგერას.

მომდევნო ბავშვს სთხოვეთ სურათის ამორჩევა და დასახელება, გაიმეორეთ იგი ბავშვთან ერთად, გამოყავით პირველი ბგერა და დააკვირდით მის არტიკულაციას. გადახედეთ შესრულებულ ორ სურათს/სიტყვას და ჰკითხეთ „ ეს ორი სიტყვა ერთნაირად იწყება? რომელ ბგერაზე იწყება ისინი? დიახ, ორივე იწყება ბ ბგერაზე“.

ეს აქტივობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცალკეული ფონემების გაცნობისთვის და შემდგომ მათზე მუშაობისთვის.

6.3 საგნების პოვნა: სიტყვის პირველი ფონემა

მიზანი: სიტყვის პირველ ფონემა სხვადასხვა სიტყვებში, მათი შედარება, დაპირისპირება და ამოცნობა

მასალა: სურათები

აქტივობა: ეს აქტივობა უნდა ითამაშოთ როგორ წინა აქტივობის გაფართოება (სავარჯიშო 2): განსხვავებული სიტყვებით. წრის შუაში განვალაგოთ რამდენიმე სურათი. შემდეგ თხოვეთ ბავშვებს იპოვონ სიტყვა/სურათი, რაზეც მუშაობდნენ ცოტა ხნის წინ. როდესაც ყველა სურათს იპოვნიან, ბავშვმა უნდა დაასახელოს ეს სიტყვა და თქვას მისი პირველი ფონემა (ბ-ბ-ბ-ურთი, /ბ-ბ-ბ-ბ/).

ვარიანტები:

- როდესაც ბავშვები კარგად გაართმევენ თავს დავამატოთ სხვა სურათების კომპლექტი (სხვა ფონემაზე დაწყებული), ვთხოვოთ ბავშვს დაგვისახელოს სახელი და პირველი ფონემა, ასევე დაალაგოს სურათები შესაბამისად — ორ ნაწილად.
- დაურიგოთ სურათები ბავშვებს. მათ უნდა ამოიცნონ პირველი ფონემა და დადონ სურათი შესაბამისი ფონემის რიგში.

6.4 მე ვფიქრობ რაღაცაზე

მიზანი: პირველი ფონემების მიხედვით სიტყვების გახსენება და მიზეზისა და პრობლების გადაწყვეტის უნარის განვითარება.

მასალა: პატარა ნივთების ყუთი

აქტივობა: ბავშვებს ვაძლევთ ინსტრუქციას „ახლა ჩვენ უნდა ვითამაშოთ თამაში, რომელსაც ჰქვია მე ვფიქრობ რაღაცაზე. მე ჩავიფიქრებ რაღაც ნივთს და თქვენ უნდა გამოიცნოთ. თან მოგცემთ მინიშნებებს.“ თქვენი პირველი მინიშნება უნდა იყოს გონებაში ამორჩეული საგნის პირველი ფონემა. შემდეგ ვაძლევთ უფრო მნიშვნელოვან მინიშნებას, რათა დაასახელონ თქვენი სიტყვა. მინიშნებების მიცემის შემდეგ მიეცით საშუალება იფიქრონ. მიაქციეთ ყურადღება, რომ ითვალისწინებენ პირველ მინიშნებას და ყურადღებას აქცევენ სიტყვების პირველ ფონემას.

მაგალითი

მასწავლებელი: ის,რაზეც მე ვფიქრობ იწყება მმმმმმ-ზე. რომელ ბგერაზე იწყება ჩემი სიტყვა?
ბავშვი: მმმმმ
მასწავლებელი: მას აქვს ორი ფეხი და დაცოცავს ხეებზე.

ბავშვი: მმმმმაიმუნი
მასწავლებელი: მმმმაიმუნი. ძალიან კარგი. რა ასოზე იწყება მმმაიმუნი?
ბავშვი: მმმმმმ
მასწავლებელი: ყოჩაღ და რამდენი ფეხი აქვს?
ბავშვი: ორი

6.5 სიტყვების წყვილი I: მოაშორე ბგერა (ანალიზი)

მიზანი: დავეხმაროთ ბავშვს გამოჰყოს სიტყვაში ბგერები მისი მნიშვნელობისგან.

აქტივობა: ბავშვს დავანახოთ, რომ პირველი ბგერის მოშორების შემდეგ გვრჩება სრულიად განსხვავებული სიტყვა. ეს აქტივობა ეხმარება ბავშვს განასხვაოს სიტყვაში ბგერა მისი მნიშვნელობისგან. განვუმარტოთ ბავშვს, რომ თუ სიტყვას მოვაშორებთ ბგერას, მივიღებთ სრულიად განსხვავებულ სიტყვას. მივცეთ ბავშვებს მაგალითი — ვთქვათ ბ-ბ-ბ-ბ-ოთლი, განვაგრძოთ პირველი ბგერა და გავამეორებინოთ ბავშვებს. შემდეგ თქვით „ურთი“ და გაამეორებინეთ. ჰკითხეთ ბავშვს, შეუძლია თუ არა განსაზღვროს თუ რომელი ბგერა ამოიღეთ და ისევ გაუმეორეთ (ბ-ბ-ბ-ბ-ურთი, ურთი, ბ-ბ-ბ-ბ-ურთი, ურთი)

ამ გზით ბავშვები ყურადღებას აქცევენ პირველ ფონემას და ისინი ხვდებიან, რომ პირველი ბგერის ამოვარდნა თუ ჩამატება ცვლის სიტყვას.

ბავშვები ხვდებიან „დამალულ სიტყვას“, თუმცა უჭირთ იმის გაგება, თუ რა ჩამოშორდა სიტყვას. ზოგიერთ ბავშვს უფრო უადვილდება სიტყვების რითმები, ვიდრე პირველ ფონემებზე ფოკუსირება. ამ აზრის გათვალისწინებით ყურადღება მიაქციეთ რითმის და პირველი ფონემების აქტივობების თანმიმდევრობას ინტერვენციის დროს.

ვარიანტები:

- იმისათვის, რომ დავეხმაროთ ბავშვს უკეთ გაიგოს თუ რა მოსდის სიტყვას პირველი ბგერით, გამოაყენებინეთ ეს სიტყვები წინადადებაში.
- როდესაც ბავშვები კარგად გაართმევენ თავს მოცემულ აქტივობას დაუმატეთ მათ მეშვიდე თამაში (ობობის ქსელი)
- შესთავაზეთ ბავშვებს დაასახელონ საკუთარი სახელები პირველი ბგერის გარეშე (/დ/ათო).

6.6 სიტყვათა წყვილი II: ბგერების დამატება (სინთეზი)

მიზანი: ცალკეული ფონემების სინთეზი.

აქტივობა: დასვით ბავშვები წრეში, აუხსენით, რომ ხანდახან ახალი სიტყვა შეიძლება შევადგინოთ სიტყვაზე ერთი ბგერის დამატებით. მაგალითად, თქვით სიტყვა „ანა“ და გაამეორებინეთ ბავშვს. ჰკითხეთ რა მოუვა სიტყვას თუ მას თავში დავუმატებთ /დ-დ-დ-დ/ ბგერას: „დ-დ-დ-დ-....ანა“. ბავშვი იტყვის — „დანა“. შემდეგ ბავშვს ვუხსნით: „ჩვენ დავუმატეთ ახალი ბგერა სიტყვას თავში და ჩვენ მივიღეთ ახალი სიტყვა“.

სანამ ბავშვი კარგად არ მიხვდება თამაშის პრინციპს, იქამდე ვახდენთ თამაშის მოდელირებას.

6.7 სხვადასხვა სიტყვები, იგივე ბოლო ფონემა

მიზანი: სიტყვის ბოლო ფონემების აღმოჩენა და მათი არტიკულაცია.

მასალა: სურათები

აქტივობა: ეს აქტივობა მეორე სავარჯიშოს იდენტურია: განსხვავებული სიტყვები, იგივე სიტყვის პირველი ფონემები. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბავშვმა უნდა აღმოაჩინოს სიტყვის ბოლო ფონემები. ამ თამაშისთვის დაგვჭირდება სურათების სამი ან ოთხი ნაკრები, თითო ნაკრებში შევა ის სურათები/სიტყვები, რომლებიც ერთი და იგივე ბგერაზე სრულდება.

სიტყვის ბოლო ფონემების მოსმენით აღქმა და შეგრძნება გაცილებით რთულია, ვიდრე პირველი ფონემების. ამის გამო სიტყვის ბოლო ფონემებზე მუშაობა არ უნდა დავიწყოთ იქამდე, სანამ ბავშვი არ დაძლევს სიტყვის პირველი ფონემების აქტივობებს. უნდა ვიყოთ მოთმინებით, რადგან სიტყვის ბოლო

ფონების ცნობიერება არის მნიშვნელოვანი ეტაპი ფონემატური ცნობიერების, რომელზეც დამოკიდებულია დეკოდირების უნარი.

6.8 ნივთების პოვნა: სიტყვის ბოლო ფონემები

მიზანი: გავზარდოთ ბავშვის ცნობიერება სიტყვის ბოლო ფონემებზე სიტყვებში მათი შედარებით, დაპირისპირებით და ამოცნობის საშუალებით.

მასლა: სურათები

აქტივობა: ეს თამაში უნდა ვითამაშოთ როგორც მესამე სავარჯიშო — ნივთების პოვნა: სიტყვის პირველი ფონემები, მაგრამ აქ ფოკუსირებას ვახდენთ სიტყვის ბოლო ფონემებზე. ბავშვების წინ გავშალოთ რამდენიმე სურათი, შემდეგ ვთხოვოთ მოძებნონ ის სიტყვა, რომელიც მთავრდება სამიზნე ფონემაზე. როდესაც ამოარჩევენ სწორ სურათს უნდა დაასახელონ ეს საგანი და ფონემა, რომელზეც მთავრდება სიტყვა.

ვარიანტები:

- ითამაშეთ ეს აქტივობა დამატებითი მინიშნებებით პირველ ბგერაზე ან მარცვლების რაოდენობაზე. მაგალითად, „მე ვფიქრობ, რომ სიტყვა, რომელიც იწყება /ს/ ბგერაზე და აქვს ორი მარცვალი მთავრდება /თ/ ბგერაზე“.
- როდესაც ბავშვები ამ თამაშს კარგად გაართმევენ თავს შეგვიძლია შევთავაზოთ შემდეგი: დალაგებული სხვადასხვა ნაკრების სურათები დაახარისხონ მათი ბოლო ფონემის მიხედვით.

6.9 ობობის ქსელი

მიზანი: აღმოვაჩინოთ ბავშვები, რომლებისთვისაც სირთულეს წარმოადგენს ფონემები და შევთავაზოთ გარკვეული ფიზიკური გასართობი.

მასალა: ძაფის კოჭი.

აქტივობა: ეს თამაში სძენს ინტერესს სიტყვების დაწყვილების თამაშს (აქტივობები 6.5 და 6.6). ბავშვები სხედან წრეში და საპასუხოდ ერთმანეთს უგორებენ ძაფის კოჭს.

ამ თამაშის ორგანიზება ადვილია პატარა ჯგუფებში. თამაშის დაწყებამდე შესაძლებელია რამდენჯერმე ვცადოთ ობობის ქსელის გაკეთება. სანამ ამ აქტივობაზე გადავალთ ბავშვები კარგად უნდა ართმევდნენ თავს ზემოთმოცემული სავარჯიშოებიდან სულ მცირე ორს.

სიტყვების წყვილი 1:
შეახსენეთ ბავშვს, რომ ხანდახან შეიძლება სიტყვის შექმნა სხვა სიტყვიდან ერთი ასოს ამოგდებით. შემდეგ ვაჩვენოთ მაგალითი მეხუთე სავარჯიშოდან: უთხარით სიტყვათა წყვილი (ჭია-ია, ნალი-ალი), გაამეორებინეთ ყველა ბავშვს. გაუგორეთ ბავშვს ძაფის კოჭი და ჰკითხეთ: „რომელი ასო ამოვაგდე?“ ბავშვმა უნდა დაიჭიროს ძაფის კოჭი და თქვას: „ნ,ნ,ნ,ნ-ალი“. თუ ბავშვმა ვერ გაიგო ინსტრუქცია, გაუმეორეთ საჭიროებისამებრ. შემდეგ თქვით ახალი სიტყვა და გაამეორებინეთ ბავშვს.

სიტყვების წყვილი 2:
შეახსენეთ ბავშვს, რომ შეიძლება შევქმნათ ახალი სიტყვა ისე, რომ ძველ სიტყვას დავუმატოთ ასო-ბგერა. შემდეგ მოიყვანეთ მაგალითი მეექვსე სავარჯიშოდან: სიტყვათა წყვილი 2: ბგერის დამატება (სინთეზი). ამ მიმოხილვის შემდეგ დავიწყოთ თამაში. თქვით: „ ძ,ძ,ძ,ძ-ველი“ და გაამეორებინეთ ბავშვებს. გაუგორეთ ბავშვებს ძაფის კოჭი, რათა გიპასუხოთ „ძ...ველი“, განაგრძეთ თამაში ახალი მაგალითებით, ყველა ბავშვი იმეორებს იმას, რასაც ამბობთ თქვენ, ხოლო პასუხობს ის, ვინც დაიჭერს კოჭს.
მაგ: ჭია-ია, ნალი-ალი, ძველი-ველი, თათი-ათი, მშვიდი-შვიდი.
შემდგომ აუხსენით ბავშვს, რომ ახალი სიტყვა შეგვიძლია მივიღოთ ბოლოში ასოს დამატებით.

თავი 7

ფონემები

იმის გაგება, თუ როგორ მუშაობს ანბანური პრინციპი, დამოკიდებულია იმის გაცნობიერებაზე, რომ ყველა სიტყვა შედგება ფონემებისგან. ყველა წინადადება შედგება სიტყვებისგან, ყველა სიტყვა კი მარცვლებისგან, ამის ერთმანეთისგან გამიჯვნა არც ისე ძნელია. ფონემები გაცილებით რთულია ბავშვებისთვის აღსაქმელად, ვიდრე სიტყვები და მარცვლები.

ფონემა მეტყველების ყველაზე პატარა ფუნქციური ერთეულია, რომელიც შეიძლება იყოს იმის მიზეზიც, რომ ისინი რთულად შესამჩნევები არიან, თუმცა არსებობს კიდევ სხვა მიზეზები:

პირველი — ფონემებს არ აქვთ შინაარსი, ამიტომ ძნელია მათზე ყურადღების გამახვილება საუბრის ან მოსმენის დროს.

მეორე — ძნელად ხდება ფონემების განსაზღვრა საუბრის დროს, ამიტომ ბავშვებისთვის ძნელია აღიქვან თუ რა ესმით. ფონემების გარჩევა ერთმანეთისგან ნაკლებად ხდება მათი ჟღერადობის მიხედვით, ვიდრე არტიკულაციის მიხედვით, ამ მიზეზით ბავშვები უნდა წავახალისოთ, იმით თუ როგორ გამოითქმის და იცვლება ბგერები მათი პირის და ენის მოძრაობების დახმარებით. შესთავაზეთ ბავშვებს უყურონ ერთმანეთს პირის მოძრაობებზე სხვადასხვა ფონემების გამოთქმის დროს ან მიეცით სარკე, რათა დააკვირდნენ საკუთარი პირის მოძრაობას.

ამ თავში მოცემული აქტივობებისთვის დაგჭირდებათ მონეტები, სხვადასხვა ფონემების წარმოსადგენად.

პირველ რამდენიმე აქტივობაში გამოიყენება სიტყვები ორი ბგერით, რათა ბავშვმა მოახდინოს ფონემებზე ექპერიმენტები, როგორც იზოლირებულად, ასევე სხვა ბგერასთან კომბინაციაში, მინიმალური ფონოლოგიური კონტექსტით.

მომდევნო აქტივობებში დამატებულია თანხმოვნები ორბგერიან სიტყვებში, რათა შევქმნათ მარტივი, დახურული მარცვლები, როგორიც არის, მაგალითად ტყე. მომდევნო ეტაპზე გადასვლისთვის ბავშვებმა უნდა დაიმახსოვრონ, რომ მარცვალს სჭირდება ხმოვანი, შემდეგ ბავშვების ყურადღება გადადის თანხმოვნების შერევაზე. ეს საკმაოდ რთულია ბავშვებისთვის, რადგან ეს ნარევი შედგება სხვადასხვა ფონემებისგან. ამ ბაზისური უნარების გადალახვის შემდეგ დარჩენილი აქტივობები ფოკუსირებას ახდენს ფონემების ანალიზზე, სინთეზის დახვეწასა და გაძლიერებაზე. ეს თამაშები განკუთვნილია ფონემური ცნობიერებისთვის. ზოგიერთი ბავშვისთვის მოცემული სავარჯიშოები შესაძლოა აღმოჩნდეს ძალიან რთული, ამიტომ ფრთხილად მოახდინეთ მონიტორინგი და შეაფასეთ ბავშვების პროგრესი.

სავარჯიშოები:

7.1 ორბგერიანი სიტყვები

მიზანი: ბავშვებმა მოახდინონ მარცვლების ფონემებში ანალიზი და ასევე მოახდინონ ფონემებისგან მარცვლების სინთეზი.

მასალა: მონეტები, ორფონემიან სიტყვათა ბარათები.

აქტივობა: ორბგერიანი თამაშები, ემსახურება მომდევნო, უფრო რთული ფონემების ანალიზს. ორბგერიანი სიტყვები გვეხმარება მივცეთ ბავშვებს საშუალება, რომ განახორციელონ პრაქტიკა სხვადასხვა ფონემების წარმოთქმაში, როგორც იზოლირებულად, ასევე სხვა ბგერებთან კავშირში.

პირველ დღეს სასურველია მოვახდინოთ ანალიზი, მომდევნო დღეებში კი ვიწყებთ ანალიზით და გადავდივართ სინთეზზე. როდესაც ბავშვები მიხვდებიან აქტივობის შინაარსს, შეგვიძლია გადავიდეთ ორი სიტყვის შერევაზე. იმისათვის, რათა ბავშვებმა უკეთ გაიგონ და გაიაზრონ ფონემების მნიშვნელობა და განასხვაონ ისინი ერთმანეთისგან, სასურველია ვთხოვოთ მათ დააკვირდნენ საკუთარი პირის მოძრაობებს, თუ როგორ იცვლება ის სხვადასხვა ან ფონემების წარმოთქმის დროს, ან შესაძლებელია

მოვიშველიოთ სარკე. ფონემების ყველა სავარჯიშოს შესასრულებლად, აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ ბავშვისთვის ნაცნობ სიტყვებს ვიყენებთ.

ამ თამაშისთვის ბავშვებს დასჭირდებათ ორი მონეტა, ასევე საჭიროა კიდევ ორი მონეტა თქვენთვის და სურათების ნაკრები ორფონემიანი სიტყვებით. თამაშის დაწყებამდე წაიკითხეთ ამ თავის შესავალი.

ანალიზი:

ბავშვი იღებს ბარათს და ასახელებს რაც არის გამოსახული. გავიმეოროთ სიტყვა ნელი ტემპით (ნახევარი წამის ინტერვალით), გავაკეთოთ პაუზები ფონემებს შორის (ც....ა). ყველა ბავშვი იმეორებს სიტყვას იმავე გზით, რათა ვაჩვენოთ, რომ სიტყვა შედგება ორი ცალკეული ფონემისგან. მასწავლებელი განათავსებს ორი სხვადასხვა ფერის მონეტას.

ბავშვი იმეორებს სიტყვას ბგერებით, საკუთარი მონეტების დახმარებით. ბავშვი უნდა იმეორებდეს ბგერებს შესაბამისი მონეტის მეშვეობით.

სინთეზი

ეს თამაში არის ანალიზის თამაშის გადამეორება და ჯერ პროცედურას ვაცნობთ ბავშვს, სანამ გადავალთ უშუალოდ თამაშზე. ამოირჩიეთ სურათი და დადეთ იგი ბავშვის წინ ამობრუნებული ისე, რომ ბავშვი ვერ ხედავდეს მას. შემდეგ დაასახელეთ ეს სიტყვა ფონემებით (ც.....ა), ამავე დროს დაალაგეთ მონეტები ფონემების შესაბამისად. ბავშვი საკუთარი მონეტების დახმარებით იმეორებს სიტყვას ფონემებით (ანუ ასო-ასო) ისე, როგორც ამას ანალიზის აქტივობაში ვაკეთებდით. როდესაც ბავშვი მიხვდება თუ რა სიტყვაა გამოსახული სურათზე მან უნდა ასწიოს ხელი. მასწავლებელმა შესაძლოა სთხოვოს ჯგუფს ან ერთ-ერთ მოსწავლეს დაასახელოს ეს სიტყვა. ბოლოს მასწავლებელი იღებს სურათს და აჩვენებს მას ყველას.

ამ თამაშის რამდენჯერმე მოდელირების შემდგომ შეგვიძლია გავართულოთ იგი. ყოველი ახალი სურათის წარდგენის შემთხვევაში დაეხმარეთ სიტყვის ამოცნობაში და მიეცით დრო თვითონ გააანალიზონ მოცემული სიტყვა. იმისათვის, რათა მიხვდეთ ჯგუფში ვინმეს უჭირს ამ თამაშის შესრულება თუ არა, ვთხოვოთ რამდენიმე მათგანს გაგვიზიარონ საკუთარი ვარიანტები. შემდგომ მთელი ჯგუფი იმეორებს, დანაწევრებით ფონემებს მონეტების დახმარებით.

ვარიანტები:

- გააფართოეთ სავარჯიშო დაუსურათებელი სიტყვებით. ამ დროს დაასახელეთ სიტყვა და ასევე დაასახელეთ იგი წინადადებაში („ღეჭვა. თუ შეიძლება, კარგად დაღეჭე საჭმელი, სანამ გადაყლაპავ.“). ასევე სთხოვეთ ბავშვს გაიმეოროს ყოველი სიტყვა წინადადებაში.
- მომდევნო ეტაპზე ამ თამაშის გამოყენება შესაძლებელია ასოების დასასწავლად.

7.2 ბაზისური სამბგერიანი სიტყვები

მიზანი: გავაფართოოთ ფონემების ანალიზი და სინთეზი უფრო რთული სიტყვებით (თანხმოვანი-ხმოვანი-თანხმოვანიანი-ხმოვანი) სიტყვებით.

აქტივობა: ამ თამაშისთვის დაგჭირდებათ სამი ან ოთხი მონეტა. დაიწყეთ ორბგერიანი სიტყვის წამოთქმით (ხე) ორ დანაწევრებულ ნაწილად, „ხ...ე“. სთხოვეთ ბავშვს გაიმეოროს, რაც თქვით.

შემდგომ აუხსენით ბავშვს, რომ სიტყვა შესაძლოა შედგებოდეს ორზე მეტი ასოსგან. მაგალითისთვის თქვით სიტყვა და სთხოვეთ ბავშვს წარმოთქვას იგი ბგერა-ბგერა. მესამე ფონემის წარსადგენად გამოიყენეთ ახალი მონეტა და მიუდეთ იგი უკვე გამოყენებულ 2 მონეტას, წარმოთქვით მიღებული სიტყვა ბგერა-ბგერა და თითი დაადეთ თითოეულ ფონემას მარცხნიდან მარჯვნივ (კითხვის მიმართულება). (მაგალითად სიტვა „თითი“).

მოცემული თავის შესავლის მიხედვით აქტივობა იყოფა სამ სხვადასხვა ეტაპად. პირველ ეტაპზე, ანალიზი სინთეზისთვის, ბავშვებმა უნდა გააანალიზონ, რომ შესაძლებელია ახალი სიტყვა მივიღოთ ძველ — ორფონემიან სიტყვაზე ახალი ფონემის დამატებით. მეორე ეტაპი, სინთეზი ანალიზისთვის, წარმოადგენს შემდეგს: შეგვიძლია მივიღოთ ახალი სიტყვა სამფონემიან სიტყვაზე ერთი ფონემის ამოგდე-

ბით. მესამე ეტაპია ანალიზი სინთეზისთვის, ბავშვმა უნდა გამოიყენოს ეს ცოდნა, განსაზღვროს ბგერების რაოდენობა ორ და სამბგერიან სიტყვაში დამოუკიდებლად.

ანალიზი სინთეზისთვის:

წამოთქვით ორფონემიანი სიტყვა და გამოიყენეთ იგი წინადადებაში სრული აღქმისთვის. ბავშვმა უნდა გაიმეოროს იგი და მონეტების მეშვეობით მოახდინოს მისი ანალიზი სათითაო ფონემების. შემდეგ წარმოთქვით ახალი სიტყვა ფონემის დამატებით. ბავშვებმა უნდა გადაალაგონ მონეტები ახალი, სამფონემიანი სიტყვის შესაბამისად, წაიკითხონ იგი ხმამაღლა და თანმიმდევრობით. შემდგომ უნდა გამოიყენონ ახალი სიტყვა წინადადებაში.

სინთეზი ანალიზისთვის:

ბგერა-ბგერა წაიკითხეთ ახალი სამფონემიანი სიტყვა, ბავშვებმა უნდა წარმოადგინონ ეს სიტყვა მონეტების საშუალებით, გაიმეორონ თანმიმდევრულად, სანამ არ მოახდენენ მის სინთეზს.

თავი 8

ფონოლოგიური ცნობიერების შეფასება

ეს თავი ეთმობა ფონოლოგიური ცნობიერების ჯგუფურად შეფასებას. რადგან ფონოლოგიაში საქმე გვაქვს ენის ბგერებთან, მისი შეფასება ჯგუფში ფანქრით და ფურცლით არ გამოგვადგება. თუმცა კვლევებმა და გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მართლაც შესაძლებელია ასეთ აქტივობაში ფონოლოგიური ცნობიერების ძირითადი საფეხურების გამოვლენა. ჯგუფური შეფასება დროის დაზოგვის მხრივ უფრო ეფექტურია ცალკეული ინდივიდის შეფასებასთან შედარებით. ჩვენი რჩევაა, საბავშო ბაღში ჯგუფური შეფასებისას ჯგუფები არა უმეტეს 6 ბავშვისგან შედგებოდეს. სასურველია 2 ან 3 ბავშვი ერთ ჯგუში.

კურიკულუმის გამოყენებამდე ყველა ბავშვის შეფასება ჯგუფში, მოგვცემს იმის საშუალებას, რომ რომ ობიექტურად განვსაზღვროთ ბავშვების ფონოლოგიური ცნობიერების საწყისი საფეხური. საბავშო ბაღში სასურველია შეფასებამდე გათვალისწინებული იქნეს ფონოლოგიური ცნობიერების ინსტრუქცია. ეს პრეშეფასება განსაკუთრებით ღირებულია დაწყებითი და სირთულის მქონე ბავშვების მასწავლებლებისთვის, რადგან შესაძლებელს გახდის მისი ძალისხმევა და დრო მოარგოს სტუდენტის შესაძლებლობას და საჭიროებას. მიუხედავად იმისა, რომ საკვანძო აქტივობები (კურიკულუმის პრიველ თავში მოცემულიც კი) უნდა იყოს ნაცადი, რათა დავრწმუნდეთ, რომ გასაგებია ყველასთვის, მუშაობის დაწყება შესაძლებელია იმ თავიდან, სადაც სტუდენტის ქულები გაუარესდება. შეფასების გამეორება შესაძლებელია 1-2 თვის შემდეგ. შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს მონიტორინგისთვის. კიდევ ერთხელ, დაბალი ჯგუფური ქულები ნებისმიერ ქვეტესტში, მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვები უნდა დაუბრუნდნენ კურიკულუმის მოცემულ თავს და მის აქტივობებს.

სწორად გამოყენების შემთხვევაში, ეს სკრინინგი საშუალებას მოგცემთ ასევე აღმოაჩინოთ ის ინდივიდები, რომელთაც შესაძლოა ფონოლოგიური სირთულეები ჰქონდეთ. თუმცა აქ საჭიროა სიფრთხილე! ხშირად პატარა ბავშვებს უჭირთ მოსმენა და ინსტრუქციების მიყოლა, უფრო ზოგადად კი ყურადღება, დამოუკიდებლობა და მეტაკოგნიტური კონტროლი, ეს ის უნარებია, რომლებიც აუცილებელია ასეთი ტესტების ჩასატარებლად. ეს ტესტი ცდილობს გაითვალისწინოს (ამ ტესტში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია) ეს გარემოებები, ბავშვების უმეტესობა აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს.ინდივიდუალური ქულები უნდა იქნეს დათვლილი გარემოების გათვალისწინებით. მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს შეფასებულ უნარებში პროგრესზე. შეიძლება ბავშვმა დაბალი ქულა მიიღოს ერთ ან რამდენიმე ქვეტესტში, ტესტის შინაარსთან და მიზანთან შეუსაბამო მიზეზის გამო. თუ ბავშვები რომელიმე ქვეტესტს არასაკმარისად შეასრულებენ, სასურველია მათი ინდივიდუალური შეფასება. იმ სფეროში, სადაც სირთულეები გამოვლინდება, უნდა მოხდეს ბავშვის ხელშეწყობა მანამ, სანამ ის ამ უნარების დახვეწას შეძლებს. გახსოვდეთ! ბავშვის მიერ ამ თამაშების შესრულება, მისი თავდაჯერებულობა, მოცემული მასალებით მუშაობა, მისი გაგების უნარის და განვითარების უფრო ძლიერი და სანდო მაჩვენებელია, ვიდრე კონკრეტული ტესტის ქულა.

შესაფასებელი ტესტი:

შესაფასებელი ტესტი მოიცავს 6 ქვეტესტს:

- რითმის აღმოჩენა
- მარცვლების დათვლა
- პირველი ბგერის გამოცნობა
- ფონემების დათვლა
- სიტყვის სიგრძის შედარება
- ფონემის ბგერით წარმოსახვა

თითო ამოცანაზე მაქსიმალური ქულა 5, საბოლოო მაქსიმუმი კი 30.

მასალა:

თითოეულ ბავშვს უნდა ჰქონდეს: ფანქარი და ტესტის წიგნაკი (რომელიც დამზადებულია ამ თავში არსებული სტუდენტის სატესტო ნიმუშისგან), ასევე თავფურცელი, რომელზეც დაეწერება ბავშვის სახელი. ასევე ადგილზე უნდა გქონდეთ საჩვენებელი ნიმუშები (მოცემულია ასევე ამ თავში) სტუდენტის წიგნაკის ასლი, ფანქარი ან მარკერი.

ტესტირების პროცესი:

მთლიანი ტესტირების პროცესი დახლ. 30 წუთია, დრო იზრდება საბავშვო ბაღის ბავშვებთან. ჩვენ მიერ რეკომენდებული ბავშვთა რაოდენობაა: პირველ კლასებში არა უმეტეს 15 ბავშვისა, ხოლო საბავშვო ბაღში არა უმეტეს 6 ბავშვისა. ამაზე დიდი ჯგუფები რთული სამართავია. ასევე გირჩევთ, თითოეულ ჯგუფში ორი მასწავლებლის ყოფნას ტესტის ჩატარებისას. მეორე ადამიანის ყოფნა, გვეხმარება იმაში, რომ ვიცოდეთ ნამდვილად ყურადღებით არიან თუ არა ბავშვები და იგებენ თუ არა ჩვენს ინტსრუქციებს. ეს ასევე საშუალებას გვაძლევს შემდგომ დისკუსია გავმართოთ და შედეგების ინტერპრეტაცია უკეთ განვახორციელოთ. შემდეგი ნაწილი მოგაწვდით დაწვრილებით ინფორმაციას და ინსტრუქციას ყველა ქვეტესტის შესახებ.

1. რითმის აღმოჩენა

ბავშვების უმეტესობაში რითმის აღმოჩენა და მათი წარმოება თითქოს ფორმალური ჩარევის გარეშე მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, კვლევები აჩვენებს, რომ მგრძნობელობა რითმის მიმართ მნიშვნელოვანი წინაპირობაა ძირითადი ფონოლოგიური ცნობიერების განვითარების. რადგან ეს ნიშნავს, რომ ბავშვს შეუძლია სიტყვებში *ხმა-თმა* დაინახოს მსგავსება, მაგრამ შეძლოს ყურადღების გადატანა ბგერების ერთიანობის მიღმა მათი შინაარსი განასხვაოს. რა თქმა უნდა რითმის მიმართ მდგრადი მგრძნობელობა არ ნიშნავს ავტომატურად კარგ ფონოლოგიურ ცნობიერებას, მაგრამ მისი არარსებობა გვაფრთხილებს შესაძლო სირთულეზე.

აღწერა:

ტესტის ნიმუშზე 10 სურათია, ყველა სურათისთვის მარცხენა რიგში არის შესაბამისი რითმის მქონე სურათი. ბავშვის დავალებაა შეართოს ერთნაირი რითმის მქონე სურათები.

მართვა:

დაიწყეთ რითმის ახსნით, რომ ორი სიტყვა მაშინ არის რითმა, თუ ისინი ერთნაირად ბოლოვდება და აჩვენეთ მათ მაგალითები:

„გული-ფული“

„ყური-პური“

„თავი-შავი“

წაახალისეთ ისინი, რომ თვითონ მოიფიქრონ რამდენიმე რითმა:

„აბა, ვის შეუძლია მოიფიქროს რომელი სიტყვა ჰგავს/ერითმება“

მაგალითად: ხელი...ბელი....ყველი

შემდეგ ასწიეთ საჩვენებელი ფურცელი, რომელზეც სურათებია ნაჩვენები და ჰკითხეთ:

„შეგიძლიათ მითხრათ, ეს რა არის?“

„დიახ ეს თავია, აბა თუ შეგიძლიათ მიპოვნოთ ის სურათი, რომელიც ჰგავს ამ სიტყვას?“ „ასწიოს ხელი ვინც იცის“, „ძალიან კარგი, მართალია შავი, თავი...შავი, ეხლა მოდით ესენი შევაერთოთ ხაზით“ და გაავლეთ ხაზი მათ შორის. დარწმუნდით, რომ ყველა ბავშვი ხედავს, შემდეგ ასე გადადით შემდეგ სურათზე. კიდევ ერთხელ მიეცით მაგალითი და დარწმუნდით. რომ ყველა ხედავს და ჩართულია პროცესში. ამ მაგლითის მიცემის შემდეგ ეუბნებით:

„ახლა გადაშალეთ თვენი წიგნაკის პირველ გვერდზე, აქ არის 10 სურათი, ყველა სურათს მარცხენა რიგში აქვს თავისი წყვილი, იპოვნეთ ეს სიტყვები და შეართეთ ხაზით, სანამ დაიწყებთ მე გეტყვით ამ სურათების სახელებს“, მიუთითეთ სურათზე და ჩამოთვალეთ გასაგებად ყველა სიტყვა, დარწმუნდით, რომ ყველა ბავშვი გისმენთ

„ქალი, მამალი, გული, ყველი, ქუდი...“

„ახლა თქვენ იპოვნეთ რითმები და არ დაგავიწყდეთ მათი შეერთება. როდესაც დაამთავრებთ, დადეთ ფანქარი და შემომხედეთ.“

ქულების მინიჭება:

მიანიჭეთ 1 ქულა ყველა სწორად შეერთებულ რითმას ისე, რომ მაქსიმუმი იყოს 5 ქულა.

1. რითმების აღმოჩენა: მასწავლებლის საჩვენებელი ნიმუში



1. რითმების აღმოჩენა: სტუდენტის ნიმუში



2. მარცვლების დათვლა

კვლევები გვაჩვენებს, რომ ბავშვებისთვის უფრო ადვილია მარცვლებზე რეაგირება, ვიდრე ფონემებზე, გარდა ამისა მარცვლის ცნობიერება განვითარების პროცესში უფრო ადრე ვლინდება, ვიდრე ფონემის ცნობიერება. ამ ქვეტესტში ფონემის ცნობიერება სიტყვაში მარცვლის დათვლით ფასდება.

აღწერა

ტესტის ეს ფორმა შეიცავს 5 სიტყვას, რომელსაც მოჰყვება პასუხის ცარიელი ხაზი, ბავშვებმა უნდა დაითვალონ სიტყვაში არსებული მარცვლის რაოდენობა და მიუთითონ პასუხის ადგილას ჯოხების მეშვეობით.

მართვა:

თავდაპირველად აჩვენეთ ბავშვებს, თუ როგორ დაითვალონ მარცვლები. ტაშის დაკვრით წარმოუდგინეთ სიტყვები (კა-რი, სპი-ლო, სახ-ლი). ხაზი გაუსვით მარცვლებს ტაშის დაკვრით, ჯერ წარუდგინეთ

ორმარცვლიანი სიტყვები, შემდეგ სამმარცვლიანი (ფან-ჯა-რა, სა-პო-ნი, მან-ქა-ნა), ასევე ერ თმარცვ-ლიანიც (ხე, მზე, თხა). შემდეგ ასწიეთ თქვენი საჩვენებელი ნიმუში და მიუთითეთ პირველ სურათზე

„შეხედეთ, რა არის ამ სურათზე?“

„კი ეს კარია, ახლა ჩვენ ვიტყვით ნელა კა-რი“

„ძალიან მაგარია! რამდენი მარცვალია?“

„დიახ 2, მოდი დაუწეროთ ორი ხაზი II.“

და აჩვენეთ როგორ დაუწერთ თქვენს ფურცელზე, თან გაიმეორეთ კა-რი. ასევე აჩვენებთ შემდეგ სურათს სა-ქა-ნე-ლა (IIII)

შემდეგ სთხოვთ შეხედონ თავიანთ ფურცელს

„როგორ ფიქრობთ რა უნდა გააკეთოთ თქვენს ფურცელზე?“

„აბა, შეეცადეთ იგივე გააკეთოთ თქვენს ფურცელზე“

„სანამ დაიწყებთ მე გეტყვით ყველა სურათის სახელს“

„ხე, სპილო, მანქანა, მაკრატელი, სავარცხელი“

„შეეცადეთ დაითვალოთ ყველა სურათის მარცვალი და ზუსტად მის გვერდზე დახატოთ ჯოხები.“

„როდესაც დაამთავრებთ, დადეთ ფანქარი და შემომხედეთ“

ქულების მინიჭება:

მიანიჭეთ 1 ქულა ყველა სწორად დათვლილ მარცვალს ისე, რომ მაქსიმუმი იყოს 5 ქულა.

2. მარცვლების დათვლა: მასწავლებლის საჩვენებელი ნიმუში





2. მარცვლების დათვლა: სტუდენტის ნიმუში





3. პირველი ბგერის ამოცნობა

კვლევები გვაჩვენებს, რომ უნარი მიხვდე სიტყვები ერთი და იმავე ბგერაზე იწყება თუ არა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფონემურ ცნობიერებაში. ეს ქვეტესტი ამოწმებს ამ უნარს, სადაც ბავშვებს უწევთ ერთნაირ ბგერაზე დაწყებული სიტყვების შეერთება.

აღწერა

ტესტის ფორმაში მოცემულია 10 სიტყვა, მარცხენა მხარეს არსებულ ყველა სიტყვას გააჩნია წყვილი, რომელიც იგივე ბგერაზე იწყება, ბავშვებმა უნდა შეაერთონ ეს წყვილები.

მართვა:

თავდაპირველად, აჩვენეთ ბავშვებს ნიმუში და მიუთითეთ პირველ სურათზე

„შეხედეთ, რა არის ამ სურათზე?“

„კი ეს მზეა, რა ასოზე იწყება მზე? აიწიოს ხელი ვინც იცის“

„ძალიან მაგარია! კი, მზე იწყება მმმმმმ-ზე“

„მოდი აბა, ვნახოთ ამ ფურცელზე კიდევ რომელი სიტყვა იწყება მ-ზე,? მართალიაა მარწყვი. მმმ, მარწყვი, მზე.“

გაუსვით ხაზი ამ ორ სიტყვას შორის და დარწმუნდით, რომ ყველა გიყურებთ და ყველასთვის გასაგებია დავალება. ასევე გაიმეორეთ მეორე მაგალითი მასწავლებლის ნიმუშზე (დათვი, დოლი)

შემდეგ სთხოვთ შეხედონ თავიანთ ფურცელს.

„როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოთ თქვენს ფურცელზე?“

„აბა, შეეცადეთ იგივე გააკეთოთ თქვენს ფურცელზე“

„სანამ დაიწყებთ მე გეტყვით ყველა სურათის სახელს“

„მაიმუნი, ფანქარი, ბუშტი, ღორი, ნათურა, მანქანა, ფოთოლი, ბორბალი, ღობე, ნიანგი“

„შეეცადეთ, მოძებნოთ ის სიტყვები, რომლებიც ერთნაირ ასოზე იწყება და შეაერთოთ ისინი ხაზით“

„როდესაც დაამთავრებთ, დადეთ ფანქარი და შემომხედეთ“

ქულების მინიჭება:

მიანიჭეთ 1 ქულა ყველა სწორად შეერთებულ სიტყვას ისე, რომ მაქსიმუმი იყოს 5 ქულა.

3. პირველი ბგერის ამოცნობა: მასწავლებლის საჩვენებელი ნიმუში



3. პირველი ბგერის ამოცნობა: სტუდენტის ნიმუში







4. ფონემების დათვლა

ეს ქვეტესტი ბავშვებისგან მოითხოვს სიტყვაში ბგერების, ფონემების დათვლას. ეს უნარი კითხვის უნარის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

აღწერა

ტესტის ეს ფორმა შეიცავს 5 სიტყვას, რომელსაც მოჰყვება პასუხის ცარიელი ხაზი. ბავშვებმა უნდა დაითვალონ სიტყვაში არსებული ბგერების რაოდენობა და მიუთითონ პასუხის ადგილას ჯოხების მეშვეობით.

მართვა:

ასწიეთ თქვენი საჩვენებელი ნიმუში და მიუთითეთ პირველ სურათზე

„ეს არის მზე. აბა, ნელა თქვით მზე, რამდენი ბგერაა ასო მზეში? მოდი ერთად ვცადოთ, მ-ზ-ე“

როდესაც დარწმუნდებით, რომ ყველამ გაიგო და ხედავენ თქვენს მოქმედებას ჩამოუსვით სამი ხაზი მზის გასწვრივ.ხაზის ჩამოსმისას გაიმეორეთ ბგერები, იგივე მაგალითი გააკეთეთ კატაზე.

შემდეგ სთხოვთ შეხედონ თავიანთ ფურცელს

„როგორ ფიქრობთ რა უნდა გააკეთოთ თქვენს ფურცელზე?“

„აბა, შეეცადეთ იგივე გააკეთოთ თქვენს ფურცელზე“

„სანამ დაიწყებთ მე გეტყვით ყველა სურათის სახელს“

„ძაღლი, თხა, ტორტი, ჩაი, გოგო“

„შეეცადეთ დაითვალოთ ყველა სურათის ბგერა და ზუსტად მის გვერდზე დახატოთ ჯოხები.“

„როდესაც დაამთავრებთ, დადეთ ფანქარი და შემომხედეთ“

ქულების მინიჭება:

მიანიჭეთ 1 ქულა ყველა სწორად დათვლილ ბგერას ისე, რომ მაქსიმუმი იყოს 5 ქულა.

4. ბგერების დათვლა: მასწავლებლის საჩვენებელი ნიმუში

4. ბგერების დათვლა: სტუდენტის ნიმუში



5. სიტყვების სიგრძის შედარება

ამ ნაწილში ბავშვებმა უნდა შეადარონ ორი სიტყვა და გადაწყვიტონ რომელში უფრო მეტი ფონემაა, ანუ რომელი სიტყვა უფრო გრძელია. აქ ბავშვებმა უნდა მიაქციონ ყურადღება არა სიტყვის მნიშვნელობას, არამედ მხოლოდ მათ ფონემათა სტრუქტურას.

აღწერა

ტესტის ფურცლებზე წარმოდგენილია 5 სიტყვა და ბავშვებმა უნდა შემოხაზონ ყველაზე გრძელი სიტყვები.

ასწიეთ თქვენი ნიმუში და აჩვენეთ ბავშვს:

„ნახეთ, ეს არის ფარი და ეს კი, ფაფარი. უნდა შემოვხაზოთ ის სიტყვა, რომელშიც მეტი ბგერაა/ასო. რომელი უნდა შემოვხაზო? ასწიეთ ხელი თუ იცით?

„მოდი, შევადაროთ“და ნელა ამბობთ ორივეს ფ-ა-რ-ი და ფ-ა-ფ-ა-რ-ი და ხაზავთ. დარწმუნდით, რომ ყველა ბავშვმა გაიგო ინსტრუქცია და მეორე მაგალითიც ასევე აჩვენეთ: ქ-ა-რ-ი და შ-ა-ქ-ა-რ-ი.

შემდეგ სთხოვთ შეხედონ თავიანთ ფურცელს

„როგორ ფიქრობთ რა უნდა გააკეთოთ თქვენს ფურცელზე?“

„აბა, შეეცადეთ იგივე გააკეთოთ თქვენს ფურცელზე“

„სანამ დაიწყებთ მე გეტყვით ყველა სურათის სახელს“

„თხა, თიხა, ქვა, ქვაბი, ბარი, მეგობარი, დედა, დედაენა, გული, გუგული“

„შეეცადეთ დაითვალოთ ყველა სურათის ბგერა, და შემოხაზოთ ის, რომელიც უფრო გრძელია, მეტი ბგერაა.“

„როდესაც დაამთავრებთ, დადეთ ფანქარი და შემომხედეთ“

ქულების მინიჭება:

მიანიჭეთ 1 ქულა ყველა სწორად დათვლილ ბგერას ისე, რომ მაქსიმუმი იყოს 5ულა.

5. სიტყვების სიგრძის შედარება: მასწავლებლის საჩვენებელი ნიმუში



5. სიტყვების სიგრძის შედარება: სტუდენტის ნიმუში



6. ფონემის ასო/ ბგერით წარმოსახვა

საბოლოო დავალება, ეს არის ბგერის და მისი შესაბამისი ასო-ბგერის ცნობიერება. იმისათვის, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად შეძლოს მათი დამარცვლა (დაშლა). სასურველია იყოს მარტივი და მოკლე სიტყვები.

აღწერა:

ტესტი მოიცავს 5 სურათს და ვთხოვთ ბავშვებს, რომ დამოუკიდებლად დამრცვლონ ისინი.

მართვა:

ასწიეთ თქვენი საჩვენებელი ნიმუში და მიუთითეთ პირველ სურათზე:

„ეს არის მზე. აბა ნელა თქვით მზე, რამდენი ბგერაა/ასო მზეში? მოდი ერთად ვცადოთ, მ-ზ-ე, რომელია პირველი ბგერა?“

როდესაც დავრწმუნდებით, რომ ყველა ბავშვი გვისმენს, ვწერთ ბგერა მ-ს, აბა რომელ ასოს ვწერთ ბგერა ზ-ზე, და ვწერთ ზ-ს.

შემდეგ სთხოვთ შეხედონ თავიანთ ფურცელს.

„როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოთ თქვენს ფურცელზე?“

„აბა, შეეცადეთ იგივე გააკეთოთ თქვენს ფურცელზე“

„სანამ დაიწყებთ მე გეტყვით ყველა სურათის სახელს“

„კატა, ჩაი, ბუ, ხე, დედა“

ქულების მინიჭება:

თითო სიტყვას ვაფასებთ ან სწორად ან არასწორად. რომ მივიღოთ 5 ქულა, ბავშვს ვანიჭებთ ყველა სწორ ასო/ბგერაზე 1 ქულას სიტყვაში, თუ მარცხნიდან მარჯვნივ მიმართულება დაცულია.

მაგ: 4 ქულა დედა

3 ქულა დედ, დიდ, დეა,

2 ქულა დდეა, ედდ, ედა

1 ქულა დ

თუ ამ სისტემით შევაფასებთ მაქსიმალური იქნება 15 ქულა.

6. ფონემის ასო/ბგერით წარმოსახვა: მასწავლებლის ნიმუში

6. ფონემის ასო/ბგერით წარმოსახვა: სტუდენტის ნიმუში

შედეგების ინტერპრეტაცია:

შეფასების ინსტრუქცია ყველა ქვეტესტის ბოლოსაა მოცემული. თუ თქვენი სტუდენტის ზოგადი ქულა გაინტერესებთ, გამოითვალეთ საშუალო მაჩვენებელი ყველა ქვეტესტში. შეკრიბეთ ქვეტესტში მონაწილე ყველა ბავშვის ქულა და გაყავით ბავშვების რაოდენობაზე, ვინც ქვეტესტში მიიღო მონაწილეობა. მხედველობაში იქონიეთ, რომ მაქსიმალური ქულაა 5. თუ თქვენი სტუდენტის საშუალო მაჩვენებელი 4 ქულაა, მაშინ ეს ქვეტესტი უნდა გაიმეოროთ. თუ საშუალო ქულა 3-ზე ნაკლებია, კურიკულუმის ეს ნაწილი საჭიროებს მეტ ყურადღებას. ასევე გამონახეთ დრო, რომ დასხდეთ იმ ბავშვებთან, ვისაც 2 ქულა ან ნაკლები აქვს, რომ გაიგოთ რა საჭიროება აქვთ მათ და რაში სჭირდებათ დახმარება.

ქართული ანბანი და მათი ფონეტიკური გამოსახულება (INTERNATIONAL PHONETIC ALPHABET)

ა	a	რ	R
ბ	b	ს	S
გ	g	ტ	t’
დ	d	უ	U
ე	ɛ	ფ	p^h
ვ	v	ქ	k^h
ზ	z	ღ	ɣ
თ	t^h	ყ	q’
ი	i	შ	ʃ
კ	k’	ჩ	$\widehat{tʃ}^h$
ლ	l	ც	$\widehat{ts}^h$
მ	m	ძ	$\widehat{dz}$
ნ	n	წ	$\widehat{ts}$’
ო	ɔ	ჭ	$\widehat{tʃ}$’
პ	p’	ხ	X
ჟ	ʒ	ჯ	$\widehat{dʒ}$
		ჰ	H

i ი	u უ
ɛ ე	ɔ ო
a~ɑ ა	

დანართი 2(ი)

მანამ, სანამ დაიწყებთ მოცემული კურიკულუმის გამოყენებას თქვენს სტუდენტებთან, გირჩევთ მოამზადოთ შესაბამისი მასალა. მასალების უმრავლესობა შეგიძლიათ თვითონვე დაამზადოთ.

მასალა, რომელიც დაგჭირდებათ აქტივობების შესასრულებლად:

- ცხოველების ხმები (აუდიო ვერსია)
- სურათების ნაკრები (სურათებზე უნდა იყოს გამოსახული სიტყვები, რომლებიც ირითმება)
- სურათების ნაკრები (ერთ კონკრეტულ ბგერაზე დაწყებული სიტყვების ნაკრები)
- სათამაშო ცხოველების ნაკრები (შინაური და გარეული)
- მაღვიძარა, რომელიც ხმას გამოსცემს
- ნაჭრის ტომარა
- ქაღალდის პარკი
- ქაღალდის გვირგვინი
- მაგნიტური დაფა
- მაგნიტური ანბანი ან ბარათები
- კუბები

დანართი 3

კურიკულიმის ნიმუში

ბავშვის სახელი გვარი/ ჯგუფი:																					
თარიღი																					
2.1 სხვადასხვა ხმების მოსმენა 2.2 ხმების თანმიმდევრობის მოსმენა 2.3 ნიკოლოზ სად ხარ? 2.6 უაზრო სიტყვა 2.7 ჩურჩულის თამაში 2.8 გახსოვს? 2.4 მაღვიძარას დამალვა 2.5 ვინ, რა თქვა?																					
3.1 სიმღერები და ლექსები 3.2 რითმის მოთხრობები 3.3 მოძრაობის დროს რითმებზე ხაზის გასმა																					

სარჩევი

თავი 1. ფონემატური ცნობიერების მნიშვნელოვნება და მახასიათებელი 3

თავი 2. მოსმენა 5

თავი 3. რითმა 8

თავი 4. სიტყვები და წინადადებები 11

თავი 5. მარცვლები 14

თავი 6. სიტყვის პირველი და ბოლო ბგერა 16

თავი 7. ფონემები 20

თავი 8. ფონოლოგიური ცნობიერების შეფასება 23

დანართი 1. ქართული ანბანი და მათი ფონეტიკური გამოსახულება (INTERNATIONAL PHONETIC ALPHABET) 33

დანართი 2(D) 34

დანართი 3. კურიკულიმის ნიმუში 35